

190
1949

ვერცხლის გზა



12

140



№ 11

ნოემბერი

1949



პ ი ო ნ ე რ ი

საბავშვო ალკა ცენტრალური კომიტეტის
შოველთვიური საბავშვო შურნალი

№ 11 ნოემბერი 1949
ბიულეტენი
გამომცემლობა
„კომუნისტი“
წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии





მ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

პ. ვ. ვასილევის ნახატიდან

ს ა ო ქ ტ ო მ ბ რ ო ს ი მ ლ ე რ ა

ოქტომბრის დილა წარმტაცი
ფერებით ათასფერადით
მე მიყვარს, როგორც სიცოცხლე,
როგორც ღიმილი ბელადის!

მე მიყვარს ჩემი სამშობლო
წარმტაცი, გათენებული,
ხალხი გმირი და 'ვაჟკაცი
შრომისთვის ამღერებული;

მისი მთები და ველები,
ნაირფრად გადახატული,
რუსული "ურას" გუგუნი
და ჩვენი "ვაშა" ქართული!

მე მიყვარს ჩემი ქვეყანა
ლურჯი ცით მოციმციმეთი,
როგორც ბელადის ღიმილი,
ხალხთა ნატვრა და იმედი!

ალექო ზენგელია





თევზის თავეები

მთხრობა

ნაცვლად, მხოლოდ ორი დღისა გადაუხადა, რადგან ელიმ ვერ „შოასწრა“ ბოლომდე მიეყვანა საქმე.

ელის უნდოდა ეთქვა, რომ მან ოთხი დღე იმუშავა, რომ მას სახლში მშვიერი ქმარ-შვილი ელოდებოდა, უნდოდა გაეშვირა დაწყულ-ლებული ხელები სათხოვნელად, მაგრამ არაფერი ეტკა, მხოლოდ ზიზღის გამომხატველი მშვიდი თვალებით შეხედა ქალბატონს, რომელიც ლორნეტს ათამამებდა ხელში. იგი მსახური ქალის თამხლებით ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

გალიოდნენ თვეები. ელი ლოგინს მიეჯაჟა. ავადყოფს ექიმი და კვება უნდოდა. მის ოჯახს კი არაფერი გააჩნდა, ყველაფერი გაყიდეს სამუშაოს შოვნის იმედი.

ელის ქმარი, ერთ დღის ჯანდონით სავსე კინდი, ომში მიღებულმა ქრილობებმა, შიმშილმა და სულეირმა ტანჯვამ წელში მოღუნა, დააბეჩავა. ყოველდღე მიდიოდა კინდი შრომის ბირჯაზე სამუშაოს მისაღებად, მაგრამ ამაოდ... ის და მისი ამხანაგები — გამბრები, მშვივრები, ნადვლიანი თვალებით შესცქეროდნენ ოთახის კარებს, საიდანაც ბოლოს, იდიო ზნის ლოდინის შემდეგ, გამოვიდოდა ჩასუქებული, უზრუნველი სახის კაცი, ზარმაცად მიმოავლებდა თვალს მშვიერ ხალხს და ამაყად განუცხადებდა, რომ სამუშაო არ არის! ლოდინით ქანცე გამოთლევლი, თავზაქინდრული უმუშევრები მიემართებოდნენ შინისაკენ, სადაც დამუშეული ცოლ-შვილი ელოდათ.

მეოთხე დღეა, რაც ელი დიდი ბანკირის მისტერ ფულმეტერის სარეცხს რეცხავს... ძულმივი შიმშილით დასუსტებული, ავადყოფი ქალი ფეხზე ძლივს იდგა, მუხლები უყანალებდა, დაწყულლებული ხელები გულს უსერავდნენ; უნდოდა ყველაფრისათვის მიენებებინა თავი და დაწოლილიყო იატაკზე, ერთი წუთით მოესვენებინა სახსრები, მოესვენებინა თუნდაც სამუდამოდ, მაგრამ თვალწინ წარმოუდგებოდა თავისი პატარა გოგონა, მომლოდინე თვალებით რომ შეხედავს ხოლომე და არასოდეს არ იტყვის — დედა მშოიაო, წარმოუდგებოდა მისი ქმარი, რომელსაც ომიდან დაბრუნების შემდეგ სამუშაო ვერ უშოვია...

— შოა, ორივეს შოა, ალბათ, — გაიფიქრა ელიმ და ცრემლებით ავესო თვალის უბეჭბი. სახეზე მწუხარების დაღი აჩნდა. თავბრუ ეხეოდა — ოხშივარმა თუ დამიბურესო თვალეი, უნდოდა მიბრუნებულიყო ონკანთან, მაგრამ მუხლებმა უსუსტეს. მას მოეჩვენა, რომ ირგვლივ ყველაფერი არის, დატრიალდა, ხელში შეიჩინილი სარეცხი გულთან მიიხტუდა და იატაკზე დაეშვა გულშემკმირებული.

სამრეცხაოში შემთხვევით შემოსულმა მსახურმა ქალმა ძლივს მოიყვანა იგი გონს.

მისს ფულმეტერმა ნება დართო მსახურ ქალს გაპყოლოდა ელის სახლადე. ანგარიშის გასწორებისას, ოთხი დღის ნამუშევრის



ელი დღითიღვე იყვარებოდა, მაგრამ მათი პატარა, სუსტი ელიტი შეიქნა მათი მარჩენალი...

ინგლისის ქალაქებში, ზღვაზე აღარბეული გემები გადიან სათევზაოდ. თევზის სარწმუნოების მუპატრონეთ ათიათასობით ბავშვები ჰყავდათ დაქირავებული. მიაღებებინათ თუ არა გემები ღამით ნაპირს, ასეული ტონობით თევზი გადმოიტვირთება ხოლმე. უკმლოდით დანუსტებულნი ბავშვები დარწმუნოვნი ავღარბნი სხედან ცივ მიწაზე, ასუფთავებენ წერლ თევზებს — თავებს აცლიან, შიგნავენ... საღაპარაკოდ ერთ წუთსაც არ კარგავენ, რადგან იციან, რომ თუ საწყაო არ შეაქვს, მთელი ღამის ნამუშევარი ამოდ ჩაუვლით — ისინი გროშაც ვერ მიიღებენ. მხოლოდ თევზის თავების წაღების ნებას დართავენ თვლივ ბავშვებს ზედა მხედველი მისტერი კნაბი.

იღესაც სასოწარკვეთილი დაბრუნდა კინდი ბირიდიან შინ... პატარა ელიტმა ოთახში წვნით საესე ჯამი შემოიტანა. ავადმყოფმა დედამ ზიზლით გადახედა საჭმელს, თვლივ მოარიდა. ყოველდღე ერთი და იგივე — თევზის თავების წვენიის სუნდი კი სულს უხუთავდა.

— მე დილას ვისაუბრე, ჩემო კარგო, მამას გადავუღე შეტი, მთელი დღე არაფერი უტკამია.

— ყველას გვეყოფა, დედიკო. წუხელ მისტერი კნაბი კარგ ზასათზე იყო, ნება დაგვრითო თევზის თავები წამოგველო სახლში. მე ყველაზე მსუქნები ავარჩიე. ერთი თევზის თავი სულ მისტერი კნაბსა ჰგავდა — დაქვეტილი თვალეებით, მეორე კი ვიკამ მისტერი ტედს შეადარა — ყურებამდე გაღებული ლაყურები... როგორი ბორბიტები არიან, სულ არ ვეცოდებით, გვიყვირიან—იმუშავეთ, იმუშავეთ... საწყაოს ერთი ციდაც რომ დააკლდეს, საფასურს არ მოგვეცემენ — მერე და როგორ ტირიან ხოლმე ბავშვები...

— ცივისსხილანები! — თქვა მწუხარედ ელიმ, — ახლა დაიძინე ჩემო პატარა, — გვიანაა.

ღამის 10 საათი იქნებოდა, როცა ელიტი პატარა ელიტი გააღვიძა. გოგონებმა დაიწყეს დინე სამუშაოზე წასასვლელად. ელიტს ეძინებოდა თბილი ლოგინის მიტოვება... ყოველდღე ერთი და იგივე მეორედებოდა ხოლმე...

ელიტის გული იტანჯებოდა, როცა მისი ერთადერთი გოგონა, ასე სუსტი და გამზღარო, ძილღვიძილში შეიშმუშნებოდა, მეორე გვერდზე ვადარბუნდებოდა, ვითომდა თავს არიდებდა დედის ძახილს — გაიღვიძეო, მაგრამ საკმარისი იყო შეიარეულ მძიმართვა, რომ გოგონა ფეხზე მდგარიყო.

შან კარავდ იცოდა, რომ შიმშილი უძილობაზე უფრო დიდი საშინელება იყო. ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ძონძებში გახვეული, ღამის სიცივისაგან აცხცახებული ბავშვები ზღვის ნაპირისაკენ. უმრავლესობა სკოლაში არ სწავლობდა, სწავლა მათთვის მიუწოდომლად ითვლებოდა, ან როგორ უნდა უსწავლათ შშვივებს, ღამნათევებს — თევზის გარჩევისაგან პატარა მთებები უსივდებოდათ, უსკდებოდათ და საშინელ ტყვილებს განიცდიდნენ.

ვიკა და ელიტი ერთად მიიჩქაროდნენ სამუშაოზე.

აი ზღვის ნაპირიც. ხის ლობურით იყო შემოთვარჯილებული საზაპირო. კარებთან კი ზედამხედველები იდგნენ დარაჯებად, რათა ბავშვებს ერთი მთელი თევზის წაღებაც ვერ მოეხერხებინათ.

გამალეულ მუშაობაში დრო შეუშინებულად გავიდა...

დიდი ხანია გემები მოსცილდნენ ნაპირს... ირგვლივ ყრუ სიჩუმე იდგა. ბავშვები და ზედამხედველები ნელნელა გაიკრიფნენ...



მხოლოდ პატარა ელიტმა და ვიკამ არიხს ლოლამდე შეეცადნათ აქ, ზღვისპირას, დალოდებოდნენ დილის ცეკას, კვლავ განეგრძოთ მუშაობა. იქნებ ცოტა ფული მიეღოთ — მშვიდ დედას თეთრ პურს მიუტანდნენ...

ნათურები ოდნავ ანათებდნენ... მისტერ კნაბის შეძახილები უკვე აღარ არღვევდა პაერში გაყინულ სიჩუმეს. პატარა ელიტი ზღვისკენ ზურგშემქცეული იჯდა. ღამით ზღვისა გმინოდა გოგონას, აგონიბოდა დიდდას ნათქვამი ზღაპარი გველეშაზე, მაგრამ მხოლოდ გველეშაბის მოგონებას როდი შეუძლებოდა მისთვის ზღვა! რამდენი უძილო დამე გაუთეგია მშვიტის მის ნაპირზე, რათა ლუქმაური ემოვნა. რამდენი შრომა და ჯაფა გადუტანია პატარას, რამდენი ტანჯვა!

წინათ იშვიათად მიდიოდნენ ვიკა და ელიტი ზღვის ნაპირზე ფერადი კენჭების ასაკრფად. მზე და წყალი ათასფერად აელვარებდნენ კენჭებს... ზოგჯერ პატარა, ცელქი ტალია წამოვიდოდა გოგონასაკენ, ელიტი სიცილ-სიკისით გარბოდა, ემალებოდა, ტალოა კი თეხდაფეხ მისდიდა, მაგრამ აი ელიტი განერღებოდა. შემობრუნდებოდა, ტალოას თეხებს დაუბაკონებდა, და ახლა უფრო პირიქით შემინებული ტალოა გარბოდა თავის საშველად დედა-ზოვისაკენ.

ასე ერთობოდა ელიტი წინათ, უყვარდა ზღვა, მაგრამ ახლა კი შიშს ჰგვრიდა იგი. ამიტომაც ჯდებოდა მუშაობის დროს ზღვი საკენ ზურგშემქცეული, თითქოს გაბუტულა მასთანო...

სთვლემდნენ მუშაობით დაქანცული ბავშვები... სულმდა გარიღებულ ბუნებაც მერე ზღვას თითქოს მობეზრდაო ეს სიჩუმე... მსხვერპლზე დასახტომად გამოადებულ ღამის მსგავსად აიქონრა, დიდრიილა და წამოვიდა ბუმბერაზ ტალობად. ეს ისე უტყბად მოხდა, რომ ბავშვებმა ვერც კი მოასწრეს გონს მოსვლა.

ტალოებმა სათამაშო ბურთებივით აიტა-

ცეს ისინი... მერე თითქოს ცაბაც ნაბი მისკა მბრღელნივ ზღვას — იგრავინა, ერთ წამს განათა აგორებელი კასრები, ტანსაცმელს გახვეული ბავშვები, მოგლეჯილს ბრძანებებს ისე სიხებლემ და გაცოფებულმა ზღვამ დაფარა ირგვლივ ყველაფერი. გათენებოსას თითქოს შერცხვაო თავისი საქციელისა, თავიდან მოიშორა ზღვამ ორი პატარა, უსუსური მსხვერპლი და ნაპირზე გამოიჩია ისინი.

... კასრების ნამსხვერვეების ქვეშ იბოვა მამამ პატარა ელიტი. მას მხოლოდ ერთი ხელი ღწანა ზევით გაწვილი, თითქოს შეეღას ითხოვსო. ასევე იბოვეს ვიკას მშობლებმა თავიანთი პატარა მარჩენალო.

აუარებელი ხალხი მიაწყდა სანაპიროს... მიყრილ-მოყრილ კასრებს შუა, სადაც აუარებელი თევზი ეყარა თვალედაბჭეტილი, თევზის-თვალედა მისტერ კნაბი დაიბოდა, განკარგულესს აძლევდა მუშებს. ყვირილი საგან ხმა ჩახლუიოდა...

გულგამოხიბული კინდი დაიხარა ელიტის ასაკვანად, მხოლოდ სველი თმები გაუსწორა შულზე. მის წინ ვიდაც პატარა გოგონა აჯანალებული ხელებით იყრიდა კალთაში თევზის თავებს, ალბათ, სახლში წასაღებად. წნაბი დამდღორულივით მიიჭრა და ბავშვს სე გამეტეცილ ჩაარტყა თავში, რომ გოგონა პირქვე დაეცა სილაში.

კინდმა ამოიგმინა, ხელში აყვანილი ელიტი გულზე მიიხუტა და ისეთი თვალებით შეხედა ზედამხედველს, რომ მას შიშისაგან ქვედაცა აუკანკალდა და გამოიღო მას.

— ცოცისსლოანები, თევზის თავები, — ზიზლით და მწოხარებით ამბობდნენ კინდის ტუნები... გულშემბრტყებულები მიკავდათ მშობლებს დაღუბული ბავშვები, რომელთაც არაფერი ენახათ ამ ქვეყანაზე შიმშილის, უძილობისა და შრომის მტერი...

მიდიოდნენ ისინი ქალაქის მთავარ ქუჩებში, მიქონდათ პატარა მსხვერპლოთა გვაშები, როგორც უღმობელი კაპიტალისტების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატულება.





ქართული
ინტელიგენცია

ცა მოღრუბლული იყო წინადლით. ხისლის ჩადრში შებურულყენენ მთანი. ერთი წვეთიც არ დასცემია თბილისს. ძთებში კი წვიმდა ალბათ.

დროდადრო ჩამოიჭროლებდა ქარი, ჩამოჰყრიდა ფოთლებს, ძირს დაყრილთ კი მოხეტიავედა, მოაგროვებდა და დააქუჩებდა სადმე.

ოქროსფერით მოვარაუებულყო თბილისის ლამაზი მიდამოები; მთაწმინდას, მახათას, შავნაბადას შემოდგომის ხელი დასტყობოდათ.

ლამაზია საქართველოში შემოდგომა, ლამაზი და ბარაქიანი, განსაკუთრებით კი ოქტომბერი.

ოცდათორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა საშობლომ აიყარა და დაამსხვრია მონობის უღელი.

შვიდი ნოემბრის დილის შვიდი საათი იყო, მკვირცხლად ავღექი, — დემონსტრაციავე მიმეჩქარებოდა.

ფახჯარა გამოვალე. მტრედისფრად ენათა უკვე. მახათას მთას იქიდან ამოიწვერა მზე, გაიღიმა და თავისი ოქროვანი სხივები ოქროსფერ ქვეყანას მოჰფინა.

ალაღლადა მტკვარი.

შეზობელ სახლის სახურავზე დაფრინდა ბელურა, დასჭყივლა და ეზოში ჩაფრინდა.

წინამაც გაიღიმა. ხან დროშებს ააფრიალებს, ხან მავთულებში გაიხლართება, ხანაც შესდგება გაკვირვებული: ამდენი ხალისი, ამდენი სილამაზე და სიმშვენიერე მას არსად ენახა.

მეც ჩამოიჭროლა, მომესალბუნა სახეზე, დღესასწაული მომილოცა.

გაიღვიძა ქალაქმაც. ახმაურდნენ ქუჩები.

ყველან სიხარული და ხალისია, ყველა სადღესასწაულოდაა განწყობილი, — მეც მათ შორის.

უწყვეტ ნაჯადად დაიძრნენ თბილისის მშრომელები. მოაქეთ ღოჭუნგები, დიდი ბელადები—ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ალისფერი დროშები... პლაკატებზე, ტრანსპარანტებზე მათი საოქტომბრო მიღწევებია გამოხატული.

წამუადღევის სამ საათზე გათავდა თბილისის მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია.

ალტაცებული დაებრუნდი შინ. მზე მთებს ამოეფარა.

დაღამდა.

აენთნენ ელნათურები. აკიაფდნენ ცაზე ვარსკვლავები.

გაისმა ზაღბის ხმა.

ოცი საარტილერიო ზაღბით შესძახა „ვაშა“ საქართველოს დედაქალაქმა ოქტომბრის ღირსშესანიშნავ თარიღს.

აივანზე გამოვედი და მომეალერსა აივანზე გამოკიდებული წითელი დროშა — ოქტომბრის დროშა.

თბილისი ღამითაც ზეიმობდა.

არგაზ სანაგულიძე

თბილისის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის 7-ე კლასის მოსწავლე.





ლეგენდა და სინამდვილე*

მოედნის თავში, ცაცხვის ძირას, რამდენიმე კაცსა და ქალს მოეყარა თავი... ყველანი თეთრობიან და თეთრფაფიან ოფიცერს უცქეროდნენ. ოფიცერი მოედნის ბოლოდან მოაქენებდა თეთრ ცხენს. მხარზე ბუდეში ჩასმული ვინტოვკა ჰქონდა გადაკიდული, ხელში გრძელი მთარაზი ეჭირა. უკან სალდათი მოსდევდა ცხენით. სალდათს ცხენზე სიმინდის ჩაღის დიდი კონა ედო წინ. გავეირვებული ხალხი თვალს არ ამორებდა იმათ. მხედრები დაეშენენ ქალაქის თავში დაქანებულ გზაზე, ერთ წუთს მიიმალნენ, მაგრამ უცებ გამოჩნდნენ ქალაქის მეორე მხარეს, აღმართში. ცხენები მოაყენეს ერთ სახლს. სალდათი გადმოხტა, გადმოიღო ჩაღის კონა, დადო სახლის აივანზე და ცეცხლი წაუქიდა. ცეცხლმა იფეთქა და კედელს პარპართი აწყვა.

ოფიცერი მორტიალდა და ისევ ჰენებით წამოვიდა მოედნისაკენ.

მოედანზე სამხედროები — სალდათები და პოლიციელები გამალებით მიდიშოდნენ, მიყავდათ ტუსალები, რაღაცებს ეზოდებოდნენ.

ცაცხვის ახლოს ამოაქენა თეთრი ცხენი ოფიცერმა.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ხალხმა თითქმის სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო.

ოფიცერი მოაქენებდა ცხენს მოედნის ბოლოსაკენ.

მოედნის მარჯვენა მხრიდან გამოჩნდა წელში მოხრილი ბებერი დედაკაცი, ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა და რაყუნით მოაბიჯებდა.

ხალხი შეტორტმანდა.

— გაიტანს ბებერს...

— გაიტანს...

— ჰაი, წაყალი! — გაისმა ხალხში.

ბებერი, ცუცხობოდა, ყრუ იყო, მოდიოდა დამძვილებით.

— ჰაი, ჰაი...

— გაიტანა უბედური...

ბებერმა მოხედა და... უცებ ცხენის ფეხებთან დაეცა... მაგრამ საიდან გაჩნდა ეს თავშიშველი ჰაბუკი წაქცეულ ბებერსა და თეთრ ცხენს შუა?! რატომ შედგა ცხენი ყალყზე?! როგორ გაჩნდა ჰაბუკის ხელში ოფიცერის მთარაზი?! მთარაზმა ჰაერში გაიშხილა და ოფიცერის თავსა და ბეჭებზე ატკაცუნდა. ცხენი ლაგამის თრევით გაქენდა მოედნის ბოლოსაკენ. ოფიცერი მოედანზე დარჩა გაშხლართული. უცებ წამოიწია და იყვინა:

— დაიჭირეთ!

თეთრობაც იქრა ხელი ჯიბეში, ამოიღო რევოლვერი და რამდენჯერმე გაისროლა. ჰაბუკი გადახტა მესერზე, ვილაცის ეზოში, და თვალს მიეფარა.

სალდათები და პოლიციელები გამოუდგნენ!

— ჰაი, დაიქერენ! — შეჰყივლა ალათიმ და მოსწყადა ადგილს.

აღლეგებული ალათი მოედნიდან გაქცა ბაბუასთან. ბაბუა ზევით, ლუბზუს გზაზე ცხოვრობდა. როდესაც ალათიმ კარი შეაღო, მოხუცი ცეცხლის პირას იჯდა და ჩიბუხს აბოლუბდა. ალათის შესვლაზე სწრაფად წამოდგა, მოეხვია და მიუალერსა.

— კაი დროს მოხვედი შვილო, ლობიო მხად მაქვს, მკადიც გამოვატეხ და ჰამე. გშია უთუოდ.

— ჰოი, ბაბუ, რა დროს საქმელია: ისეთი ამბავი დატრიალდა, რომ...

ალათი ატირდა.

მოხუცი შეშფოთდა:

* დასასრული. დასაწყისი იხ. № 10.

— რა იყო შეილო, ჯარი ხომ არ ამოსულა შალდა?

— არა, არა, მარა მოედანზე... ილიკო...

— ხომ არ დაუჭერიათ?

ამ დროს მოულოდნელად კარი გაიღო და ილიკო შემოვიდა.

— ილიკო! — შეჰყვირა ალათიმ და წაშობტა, — გადარჩი?

— გადარჩი, გადარჩი, მარა მეძებენ. ერთი წუთით შემოვირბინე შენი ამბავის გასაგებად. წადი ახლავე ახასეულში.

— აჰ, არსად არ წავალ, შენ თუ...

— ჰო, მეც ამოვალ მერე, რომ დაბნელდება...

— ჰო, წადი. გამხეცებული სალდათები დაძრწიან... — უთხრა მოხუცმა ილიკოს.

— მე, ბაბუ, ანასეულის დედოფლის ანას ბაკურფალავანი ვარ... — იოხუნჯა ილიკომ და გაიცინა, — საყვალამ მომცა ამისთა-რა წარჩინება. ყვიროდა... მეფის კაცებს ემუქრებოდა... მე თავის ხელქვეითად გამოაცხადა.

— საყვალამ?! სად იყო ის უბედური?

— მართლაც უბედური. ანასეულიდან ისიც ოზურგეთში ჩამოსულა... ჭკვიანი ეგონათ და დაიჭირეს, სულ ცემით წაიყვანეს ციხეში, მარა იძახდა: მე ანას პირველი მხედართმთავარი ვარ და ბაკურფალავანი ჩემი ხელქვეითია. — ისევ გაიცინა ილიკომ და საჩქაროდ შეუდგა ლობიოს და მჭედის ჭამას.

— აბა, ხომ წახვალ, ალათი.

— არ მინდა წასვლა, რაც ყველას დაგე-

შათებდათ, იგი მეც დამეძაროს, — ისე ატირდა ალათი.

— აქ რომ ერთად გენახონ, ორივეს დაგეძარენ. მთელი ქვეყანა მოვიარე, სადაც მოვიდოდი: მელექედური, ზეგახი, ბზუ... არავინ დამინახოს შეთქი. ნაბადი და ყაბალანი, უშველოს დმერთმა, დლოძემ მომცა მელექედურზე. პირდაპირი გზით საშინია ახასეულზე ჩემი წამოსვლა, ზევით შემოქმედის ხიდიან უნდა მოვუარო.

ვილავამ კარი გამოსწია. ილიკამ სწრაფად მოიხურა ნაბადი და გვეარდა მეორე კარში. შემოვიდა ორი სალდათი.

— აბა, სახლში ხარ, ბებურო? — სთქვა ერთმა.

— აბა, სად ვიყნები!

— აბა, რა ვიცი! სახლში არავინ არ არის, და ჩვენ კი ვვვით იმათ სახლეს, ვინც მის არ არის. ამ სიძლის დაწვა გვიხდოდა, მაგრამ რაკი სახლში ხარ... ღვინო დაგვალევი-ნე, ბებურო!

ორივე სალდათი მთვრალი იყო. სალდათებმა ღვინო გადაჰკრეს და წაიძინენ.

ალათი, რომელიც ზანდუქს უკან იმალებოდა, გამოვიდა... ძემოვიდა ილიკოც.

— ვუყურებდი, რას იზაქენ, იქნება დახმარება იყოს საჭირო-შეთქი, მარა იოლად გადავიოთი, ბაბუ. ახლა, სიფთხილეს თავი არა სტყვი, მე უნდა გავიქცე, მარა ჯერ მიხინდა ალათი წავიდეს...

— ახლავე წავალ, — თქვა ალათიმ და მოიხურა თავშალი.

იგი სირბილით გაუდგა გზას...

შე კიდევ ცხოველად ანათებდა არემარეს, შორიდან მოსჩანდა აქარა-გურის თეთრად გააწყინებული მთავრებილი. ბზუჯი თითქოს უფრო სწრაფად მომხუროდა კალაპოტში და მისი მხეფები უფრო მაღლა ხტოდნენ.

ანასეულზე ასულ დალილი-დაქანცულ ალათის ყველა გარს შემოეხვია. ყველას უხდოდა გავგო, თუ რა ხდებოდა ოზურგეთში, აქ უკვე იცოდნენ ილიკოს გაქცევისა და საყვალას დაქერის ამბავი.

ის იყო ალათიმ დაიწყო ამბავის მოყოლა, რომ ვილავამ დაიძახა:

— ფილიპე მახარაჲე მოდის.

ხალხი დაფაცურდა. ამრიგად ჩალის კარავი და დიდი და პატარა წინ წამოვიდა.

ფილიპე ცხენიდან გადმოხტა.

— გამარჯობათ ამხანაგებო! — მიესალმა იგი ხალხს.

— გაუმარჯოს ფილიპეს. — გაისმა ხმები.

— რას გვეტყვი, ამხანაგო ფილიპე, დავი-ლუპებით თუ იცი?





— რა გქნათ? როგორ მოვიქცეთ? — ეკითხებოდნენ აქეთიქიდან.

ფილიპე ერთხანს სდუმდა. შემდეგ მალ-ლომბზე შედგა და წარბოსთქვა:

— ამხანაგებო, ჩვენი დაღუპვა არ იქნება! მართალია, დიდი უბედურება დაგვატყვეს თავს; ხალხს არბევებს, ოზურგეთი გადასწვეს, მაგრამ ხომ გავიგონათ: „ჭირსა შინა ვაძაგრება ისე უნდა ვით ქვიტირისო“. მაგრად ვიყოთ, ვით ქვიტირი. ჭირს უნდა გავუძლოთ... მე ვიბრუნდებით თქვენ პარტიის სახელით, რომ მალე ათასჯერ უკეთეს ქალაქს ავაშენებთ გადამწვარი ოზურგეთის ადგილას, უფრო დიდს და ლამაზს. ვერაფერი ძალია ვერ გაუმძღვებს პროლეტარიატის მტკიცე ერთობის ძალას. მოედანზე დღეს მეფის მთავრობის დამქაშებები მჭინვარებენ, მაგრამ მაღე ისინი იქ ველარ გაიჭაპანებენ.

ამხანაგებო, ჩვენ მტკიცე, ურყევი იმედი ვიქონიით, რომ იმ მთავრობას, რომელიც გრძნობს თავის უმღურებას და უკანასკნელ ძალღონეს მიმართავს — წავს და ანადგურებს თავის ქვეშევრდომთა სახლკარს და დოვლათს, იმ მთავრობას გაანადგურებს და გააცამტვერებს მუშათა და გლეხთა შევრთებული ძალა... ჩვენ გავიმარჯვებთ, ამხანაგებო, ბრძოლა უნდა განვაგრძოთ!

— შენ იღვგრებულე! ბრძოლა განევგრძოთ! — იგრილა ხალხმა.

ქალაქი-ბალი

ხალხმა გაიმარჯვა.

ანასეული თითქმის მოიფრეხეს... მაგრამ აი, ერთ დღეს ამოვიდნენ აქ კაცები, დაიარეს თავიდან ბოლომდე ანასეული, დაზო-

მეს, რაღაც დახაზეს ქაღალდზე დაგვეწავს და დიდხანს ითათბირეს... ბოლოს აგრივით მა ილია ახალკაციშვილმა მიმარჯვეყნებულხარს ბეს: ქ. ბ. ლ. ი. მ. მ. მ.

— მე მიყვარს, ამხანაგებო, ანასეული, და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარა ჩვენი დიდი ბელადის მითითებამ, რომ, აჰ, ანასეულზე დაარსდეს ჩაის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტი. საუცხოვო ადგილია აქ ჩაისა და ციტრუსოვანთათვის: ნიადაგი კარგია, მღებარეობა ულამაზესია... დიხს, მე მიყვარს ანასეული თავისი ძველი ლეგენდებით და სინამდვილით, მიყვარს მისი მონაპოვლი... მთელ ჩემ ძალღონეს მოვახმებარ ანასეულის მონაპოვს. უპირველესად ყოვლისა ეს ჯაგნარი უნდა გავკავოთ, ამოვიბრუოთ, ადგილი გავქმინდოთ... შემდეგ ჩაი და ციტრუსები გავამწენოთ.

მოთათბირენი დაიშალნენ.

ილია ახალკაციშვილი ხეებს ჩამორჩა... ხის კუნძზე ჩამოჯდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთ დროს გრძელი ჩალის კარავი იყო, საიდანაც იანერის ღამეს ტყეს შეფარებული ადამიანები უსიტყვოდ უცქეროდნენ, როგორ დაწვა მეფის დამსჯელმა რაზმმა ქალაქი ოზურგეთი; გაახსენდა, როგორ მოდიოდა ბავშვით ხელში ადამიანთან ერთად.

„ალათი!... — ფიქრობდა ის, — ჩა კარგი იყო, რა ლამაზი! მაგრამ შეუდარებელი, თვალწარმტაცი იყო ჩვენი ქორწილის დღეს. რა მზიარულება იყო ჩვენ ოდამში... როგორ უხაროდა და იცინოდა დედაჩემი... და რა ბედნიერი იყო ალათი, როდესაც მე, ლურჯი მაულის ნაქურაში გამოიწყობოლმე, გამოიწყვიტე საცეკვაოდ... უცუფრდით... დაირა... ტამი... სიცილი და უცებ გაისმა ყვირილი: — რომელია აქ ილია ახალკაციშვილი?“

ეს სიტყვები ილიამ უნებლიეთ წამალა წარმოსთქვა.

— და დავატოვებინეს ცეკვა დიდხინით, ილიკო! ორივე დაგვიტორეს.

ილიკო ახალკაციშვილმა, ღამის შემკრთაღმა, მალა აინება: მის წინ იდგა უკვე ხანში შესული, სიმპატიური ქალი.

— ალათი შენ?! — წარმოსთქვა გაკვირებით ილიკომ.

— ჰო, მე ვარ, ალათი! აღარ გვევარ იმას, როგორც ქორწილის დღეს ვიყავი?

ილიკო გამოერკვა ფიქრებისაგან და წამოხტა.

— ოჰ, ალათი, შენ ყოველთვის ისეთი ხარ ჩემთვის, როგორც მამის იყავი: ჩემი ცხოვრების თანამზავარი და მეგობარი...

— მე ვცილობ, რომ შენ აქ დარჩებოდი, ცოტახნით მაინც, და წამოვედი. მსურდა,



კიდევ ერთხელ გვენახა ერთად ანასეულთ ისეთი, როგორც იყო მაშინ...

— რა მგარბნობიარე ქალი ხარ, ალათი! გინდა ჩვენი ახალგაზრდობა გაიხსენო, არა?

— ჰო, ჩვენი მწარე ახალგაზრდობა.

— მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ და სიჭარბე შეგე ტყბილი გვაქვს, ალათი... გურია, ჩვენი საყვარელი გურია, ჩვენს დიდ სამშობლოსთან ერთად, აყვავების გზაზე დგას. ქონები იოდები იცვლება... ანასეულის ეკალბარლიც მალე ჩაისა და ციტრუსების ბალით შეიცვლება, ხოლო სახელი „ანასეული“ შერჩება. ამ ადვილს გმირი ანას მოსაგონებლად. მაგრამ ჩვენს შეილიშვილებს იქნება კიდევაც დაეიწყეთ, რომ ქალაქ მახარაძეს ოდესღაც ოზურგეთი ერქვა.

ილიკო და ალათი მზიარულად შექეროდნენ, როგორ ეშვებოდა დიდი, წითელი მზის ბურთი და ხანძარივით როგორ ლილეივებდა წითლად გაშუქებული ცა.

და გაისმა უცებ ლითურის მხრიდან ახალგაზრდული სიმღერა.

ანასეულზე ამოვიდნენ მოწაფეები. მოდიოდნენ დარაზმულები, ყოჩაღად, ლამაზი სიმკვირცხლით.

— აი, ალათი, ვინ იქნება ჩვენი ბედნიერი ცვლა. აი, ვინ იქნებიან ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები! აი, ვინ გააუმჯობესებს ციტრუსოვანთა და ჩაის ჯიშებს...

მოწაფეებმა ჩაუთარეს მათ გვერდით და სიმღერით დაეშენნენ ექადის გზით ჩქრილად. თეთრი ბზუჯისაყენ.

მამ არ გინახავთ თქვენ ახალი ანასეული ქალაქი მარად ამწვანებული და ლამაზი? **გვიგულიყოთქა**

მამ მე სიამოვნებით გიამბობთ, რომ ანასეულზე ახლა მიგიყვანით თქვენ ბეტონირებული, სურნელოვან ევკალიპტის ხეივანში მომავალი, ფართე გზა.

ანასეული ამჟამად არის ხალხის ოცნებაში წარმოდგენილი ზღაპრული ქალაქი-ბაღი. იმ ადგილას, სადაც ერთ დროს შეხიზნული ხალხი, იმყოფებოდა ჩალის ყარაუმი, ამენებელია ფართე, დიდი, ლამაზი შენობა მრავალი კაბინეტებით და ლაბორატორიებით. აქ შეცნეირ მუშაყები იყვლვეენ და აღწვეენ ახალ წარმატებებს...

თბილი მზე დაჰხარის ახალი ანასეულის სკოლასა და საბავშვო ბაღის მზიარულ, ბედნიერ ბავშვებს. ისინი იქვე დიდ, სამსარულულიან სახლში ცხოვრობენ მეცნიერ-მუშაკ მშობლებთან.

სალამობით ელექტროსადგური ეჯიბრება დიდ, თეთრ მთვარეს, რომელიც, პატარა ასპირიზთან ერთად, იცინის ცის ლაყვარდში.

თეთრი ბზუჯი ისევ ისე აქაფებული მიშხუს თეთრ ქებზე, თეთრ კალაპოტში და ჩქრილთ ბანს ეუბნება ჩაის ფაბრიკის მზიარულ გუგუნს.

დიახ, ანასეული არის ხალხის ოცნებაში წარმოდგენილი ზღაპრული ქალაქი-ბაღი, და ამ ბაღის ბატონბატრონია არა ზღაპრული ბოროტი დევი, რომელსაც ყველაფერი თავისი კუქისათვის უნდა, არამედ ხალხი. ამ ქალაქ-ბაღში ყველასათვის ხარობს ოქროს ფორთოხალი, ოქროს მანდარინი, ოქროს ლიმონი, ქარვის ყურძენი, ტუნგო და ფიჭვი, ბზა და ბანანი, ხურმა და სოკო, ნაძვი და ჩაი, მარად მწვანე, მარათ ლამაზი, სურნელოვანი თეთრყვავილებიანი ჩაი.



წერილი კლასის დამძრიგებელს



სამი დღეა გვერდით მიზის
აქეთ მამა, იქით დედა,
ჩუმაღ ვზივარ თავდახრილი,
სიტყვის თქმა ვერ გამიბედავს...

ჰო-და, დღეს კი ხან აქედან,
ხან იქიდან ტკბილი კითხვით,
მათქმევინეს ყველაფერი,
მათქმევინეს სიტყვა-სიტყვით!

გამოვტყდი და ვალიარე
მათ წინ ჩემი ნაცელქარი:
როგორ შევდგი სკამზე სკამი,
კედელს როგორ ავეკარი...

ჩემს საქციელს, ჩემს ანცობას
მე ავხადე თვითონ ფარდა,
ისიც კი ვთქვი, ჩემს ოინზე
კლასი როგორ ახარხარდა;

შერცხვინილს და აღელვებულს
გაღამეკრა თვალზე ბინდი,
თავი ველარ შევიკავე,
დედის მკერდზე ავკვითინდი

წამოდგენ და შემომხედეს
დედამ წყრომით, მამამ რისხვით...
ვიცი... ვიცი მტყუანი ვარ,
დამნაშავე... გასაკიცხი!

დავჯექი და წერილსა გწერთ,
ჩემო ტკბილო ცოდნის დედავ,
დიღხანს. დიღხანს შერცხვინილი
თვალეში ვერ შემოგხედავთ.

მაპატიეთ... დედის კიცხვა,
მამის რისხვა ამარიდეთ,
შეგისრულებთ, დაგიჯერებთ,
რასაც ტკბილად დამარიგებთ!

აი, როგორ დაგაჯეროთ...
ჩემს სიცელქეს მჯერა დავძლევ,
ვისწავლი და ვიბეჯითებ,
პიონერულ სიტყვას გაძლევთ!

გიორგი შაგაპარაშვილი





თამარ წერეთლი

უფროსი

პიონერხელმძღვანელები



ევგენია ხოჭავაძე

ახალი უფროსი პიონერხელმძღვანელის მოსვლას მოსწავლეები ცნობისმოყვარეობით შეხედნენ: «ნეტავ როგორი იქნება? ყვირილი ხომ არ უყვარს? მკაცრი და უკარბული ხომ არ არის?» — ასეთი კითხვები უნებლიედ აღუძვროდნენ ბავშვებს და ახალმოსულს დაკვირვებით შესცქეროდნენ.

მაგრამ ახალგაზრდა პედაგოგი და პიონერ-მუშაკი ევგენია ქოჭავაძე არც ყვირილის მოყვარული აღმოჩნდა, არც მკაცრი და უკარბული. პიონერებთან დასაახლოვებლად სულ რაღაც ორი-სამი დღე-ღა დასჭირდა მას. მალე ბევრ პიონერს სახელითაც მიმართავდა, თუ კარგად გაიცნო.

სიცოცხლით სავსე, ენერგიული, თავაზიანი და მოსიყვარულე ახალგაზრდა პედაგოგი მალე ბავშვების აზრობება უფროსი მეგობარი შეიქმნა.

შვილსაძვე პიონერი დახვდა ევგენიას. იოლი როდი იყო მათთან რეგიანი მუშაობა. მაღალი კულტურისა და კარგი ტრადიციის მქონე ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლა. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მალე აუღო ალლო სკოლის თავისებურებებს, მკვიდროდ დაუახლოვდა ბავშვებისათვის, სკოლის დირექტორს, კლასის დამრიგებლებს. თავის ვარშო-შო შემოიკრიბა პიონერთა აქტივი, მოფიქრებულად გაანაწილა ფუნქციები აქტივისათვის შორის, გამოიყენა ყოველშორისი მოსწავლეები, მისცა ზოგიერთ მათგანს კონკრეტული დავალებანი და საქმეც მტკიცედ დასაბარა.

მაგრამ ისეთ დიდ სკოლაში, სადაც სწავლა სამ ცალად მიმდინარეობს და შეიდასამდე პიონერია, — ერთი უფროსი პიონერხელმძღვანელისათვის შეუშაობა, რა თქმა უნდა ძნელი შეიქნა. ის გათვალისწინებს შემდგომში ორგანიზებმა და მალე სკოლას გაუგზავნეს

მეორე უფროსი პიონერხელმძღვანელი, კომკავშირული თამარ წერეთლი.

უფრო მეტი ხალისი და სიცოცხლე, მეტეორგანიზებულობა შეიტანა სკოლის პიონერულ ცხოვრებაში ორი კომკავშირული ახალგაზრდა პედაგოგის, ორი უფროსი პიონერხელმძღვანელის შეთანხმებულმა მუშაობამ, შემოქმედებითმა თანამეგობრობამ.

სამი წელი გაეიდა მას შემდეგ. მრავალი მათი ყოფილი პიონერი გოგონა დღეს მეტეორ-მეათე კლასშია, ისინი უკვე კომკავშირელის მოელვარე სამკერდე ნიშნებს ატარებენ. მაგრამ თქვენ გგონიათ, დაივიწყეს პიონერული საქმიანობა? — სრულფასოვანად არა. სწორედ ეს ბეჯითი, სახეცარილა, სიცოცხლით სავსე, გუშინდელი წითელყვით-სახვევიანი მოსწავლე გოგონები შეადგენენ სკოლის პიონერული აქტივის უმრავლესობას. ისინი მუშაობენ რაზმების ხელმძღვანელებად.

პიონერთა ოთახი! — ამ პაჭარა, მაგრამ მრავალსმეტყველი, ათასფერად მორთული, პორტრეტებით, ალბომებით, მსკეტებით, ბიოსკოპებით, დიკრამებით, პლაკატებით დამშვენებული ოთახი მუდამ კარლან პიონერისათვის. მას აქ ყოველთვის დახვდება თავაზიანი, დახმარებისათვის მზადყოფი უფროსი პიონერხელმძღვანელი.

— რა ვქნა, — თითქმის ქვითინით ამოიპოხა მეტეორკლასელ გეგი აყოფაშვილს, — ისეე ორიანი მივიღე...

გეგისათვის ეს უკვე მეტეორ ორიანი იყო მოკლე ხანში. ბავშვს მალე საგნის მასწავლებელი შემოპყვა.

— საერთო ძალით გუშევილით ამ ბავშვს, ევგენია, — შიშართა მან ქსოვრეს.

ის იყო ბავშვის ოჯახიდან დაბრუნდნენ და მიხერთა ოთახში შემოვიდნენ მეორე უფროსი პიონერხელმძღვანელი თამარ წე-



რა არის ერთი წელი

ჩვენთან სკოლებში ზარმაცს
ერთს თუ შეხვდებით ასში;
ნორჩი ლაშქარი მწყობრად
მიდის კლასიდან კლასში.

თუმც, სამწუხაროდ, ერთხელ,
ერთ-ერთი სკოლის კართან
ასეთი მხვდება ერთი, —
მასთან საუბარს ვმართავ:

— მისმინე, მითხარ მოკლედ,
შენგან მე პასუხს ველი,
კლასში ერთი წლის ნაცვლად
რად ზიხარ ორი წელი?

ხუთწლიან გეგმას ყველა
ოთხში ამთავრებს, ხედავ?
შენ კი ერთი წლის სასწავლს
ორს რად უნდები, ნეტავ?

კოლმეურნენი სოფლად,
თოვლის გადნობის დღესვე,

რამდენს დახნავენ მიწას
და რამდენ ჰექტარს სთესენ;

რამდენს მონაგრევს მადანს
მალაროს მუშა მთაში;
რამდენს დახოცავს ვეშაპს
გემი გასული ზღვაში.

ერთ წელში ტილოს მქსოველი
რამდენს მოგვიქსოვს უყურე,
ავტოქარხანა ასობით
მოტორებს ააგუვენებს;

რამდენ ლიანდაგს აგებენ,
რამდენი გზები გაპყავთ;
ერთ წელს დაბეჭდილ რამდენ
წიგნებს, ჟურნალებს ნახავ;

ერთ წელს რამდენი ახალი
სახლი შენდება, იცი?
ბოჩოლა ძროხა დადგება,
ცხენად ჩქცევა კვიცი.

წინ მივალთ, განა უკან?..
ერთ წელს მეორე მოსდევს.
ორმოცდა მეცხრე წელი
ხომ არ გრძელდება ორ წელს!



წელი განვლილი ერთხელ
 არ მეორდება კვალად.
 შენ კი ახალ წლის დამდევს
 მუდამ ძველი გაქვს ვალად.
 ამიტომ, ერთხელ განვლილს
 სწავლობ მეორედ ისევ.
 შენზე პატარებს ხანით
 სკოლაში კულში მისდევ.
 იცოდე, ვინც ჩამორჩება
 ამხანაგებს და ტოლებს,
 მას ზურგს შეაქცევს ყველა,
 თავს არვინ გაუტოლებს.

გუშინ შენ იყავ ფეხბურთზე,
 იყო დღე მშვიდი, მზიანი,
 ფეხბურთიც ვარგა, სწავლის
 თუ მას არ მოაქვს ზიანი.

„დინამოს“ მიემხრე, ან იქნებ
 „ტორპედომ“ გატყინოს გული,
 მაგრამ სკოლაშიც ბეჯითად
 მიაპყარ პროგრამას ყური.

თუ არ ემზადე ხვალისთვის,
 მიიღე საგანში ორი —
 ნიშნავს, საკუთარ კარებში
 თვითონ შეაგლო გოლი.

კვირას კინოშიც წადი,
 ამ დღეს ის თვითონ გიხმობს,
 მხოლოდ დამშლელი სწავლის
 არც კინო უნდა იყოს.

ხომ შეიძლება წასვლის წინ
 მომზადდეს გაკვეთილები?
 კინოსურათის დამდგმელნი
 იყვნენ ზუსტნიც და ფრთხილებიც.

ყანები მოვმკეთ, ქარხნებში
 გამარჯვებებზე ვმღერით.
 ზარმაცი არ გვყავს სკოლაში:
 ერთ კლასში — ერთი წელი!

თარგმანი ბ. კობახიძისა





მაო ძე-დუნგი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბელადი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გმირული ბრძოლებით დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის ანტიხალხური, რეაქციული გომინდანელთა არმია. იგი სულ უფრო და უფრო უკან იხევს და ახლა მხოლოდ მცირე ტერიტორიას ებღალუჭება ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მდგრად ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტების მიერ წაქეზებული გომინდანური არმია და სულთმობრძავე გომინდანური „მთავრობა“ იქაც დასაღუპავადაა განწირული. სახალხო-განმათავისუფლებელი არმია კვლავ მამაცურად უტევს მათ.

დახედეთ მსოფლიოს რუკას — ჰხედავთ, რა უზარმაზარი ქვეყანაა ჩინეთი? მისი ტერიტორია 10 მილიონამდე კვადრატულ კილომეტრს, ე. ი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თითქმის ნახევარს უდრის, 18-ჯერ აღემატება საფრანგეთს, უფრო დიდია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. ხოლო მოსახლეობა 475 მილიონს უდრის.

აი ეს უდიდესი ქვეყანა უკვე ჩაღდა მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყანათა რი-

გეში. ჩინელმა ხალხმა ჩინეთში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ფეოდალური რეაქციის საუკუნეობრივი ბატონობა და მოიმორა უცხოეთის იმპერიალიზმის უღელი. ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა, ახლა ეს ქვეყანა მიღის სოციალიზმის გზით. ჩინეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. მისი სახით დიდი და საიმედო მეზობელი გვყავს ახლა აღმოსავლეთით.

ვატრუდა ამერიკელთა ვარაუდი—გაყოფიერებინა ჩინეთი აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში თავისი ბატონობის ძირითად ზაზად და საბჭოთა კავშირის გარემოცვს ერთ-ერთ ვადამწყვეტ რგოლად. ამაოდ დახარჯეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა: ამ მიზნით ანტიხალხური გომინდანური რეჟიმის განმტკიცებისა და ჩინეთში სამოქალაქო ომის გაჩაღებისათვის 6 მილიარდი დოლარი.

ჩინელი ხალხის გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მშვიდობისათვის, ახალი ომის წინააღმდეგ მეგრძოლი ქვეყნები ევროპასა და აზიაში, საბჭოთა კავშირთან ერთად, ახლა უკვე 800 მილიონ კაცს ითვლიან, და ამას ვარდა რამდენი მილიონი მშრომელი იბრძვის მშვიდობისათვის აგრეთვე თვით კაპიტალისტურ ქვეყნებსა და მათს კოლონიებში!



ჯუ დე—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი.

სოციალიზმისა და დემოკრატიის საქმე უძლეველია. იმპერიალიზმი განწირულია დასაღუპავად. ჩინეთის დემოკრატიის გამარჯვება კიდევ უფრო განამტკიცებს მსოფლიო დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ბანაკის პოზიციებს.



ქართული მეზობლობა



რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, რომელიც 1801 წელს მოხდა, ქართველი ხალხის ძეგობრობა რუს ხალხთან არა მარტო იმით გამოიხატა, რომ ბევრმა ქართველმა სამსახური რუსულ არმიამი დაიწყო, არამედ იმითაც, რომ ქართველმა მეომრებმა შექმნეს ნებაყოფლობითი ქართული ფეხოსანი და ცხენოსანი რაზმები. ეს რაზმები დახმარებდნენ უწყვედნენ რუსეთის გარეულაროლი ჯარის ნაწილებს. ომის დროს ქართული რაზმები რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ.

1830 წლამდე ეს რაზმები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, არ იყო მათ შორის კავშირი.

1831 წელს პოლკოვნიკ იასე ანდრონიკოვილის თანხმობით და რუსეთის მთავრობის ნებართვით ეს დაქსაქსული ქართული რაზმები ერთ მთლიან რაზმში გაერთიანდა და შეიქმნა ქართული პოლკი, რომელსაც „ჯარი“ უწოდეს.

ამ პოლკის ნაწილი გადაკეთდა ქართულ ფეხოსან რაზმად და ჩარიცხოლ იქნა რუსეთის არმიის კადრის შემადგენლობაში. ეს რაზმი იცავდა ქარ-ბელაქნის საჯორდონო ხაზს და თითქმის განუწყვეტლივ ივარიებდა ლეკების თავდასმას.

ამ მესაზღვრე დამცველ ქართულ რაზმებს გარდა არსებობდა ქართული ცხენოსანი და ფეხოსანი რაზმები. ეს რაზმები, რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად, დიდ ბრძოლებშიც იღებდნენ მონაწილეობას, უმეტესად თურქების წინააღმდეგ. მაგალითად, 1854 წელს ქართულმა ცხენოსანმა ლაშქარმა, გიორგი ჯანდიერის მეთაურობით, თავი ისახელა თურქეთის ერთერთი შენაერთის დარბევებში, რომლის მეთაური სელიმ-ფაშა იყო.

1855 წელს ყარსის ციხის გარემოცვის დროს დაიბოლოდა ქართული და ივანე ორბელიანი: რაზმები შეუპოვრად იბრძოდნენ. ამ რაზმების მეთაურთა შემადგენლობა ყოველთვის გამოირჩეოდა მამაცობით და შეუპოვრობით.

ქართული რაზმები იყოფოდა მეზობლო შენაერთებად. ასე მაგალითად: ქართლის რა-

ზმი, კახეთის, გურჯისტის, იმერეთის, სამეგრელოს, თუშეთის, აფხაზეთისა და სხვ. ქართული ლაშქრის საბრძოლო ისტორიიდან აღსანიშნავია კობრუქის ბრძოლა.

ლეკებმა ჩვეულებრივად მოახდინეს გრემზე თავიანთი მორიგი თავდასხმა, ვაძარცვეს მოსახლეობა და გაიტაცეს ტყვეები. საჯორდონო ხაზის უფროსმა მამიხვე გამბაყო 230 კაცი სიმონ ჯანდიერის მეთაურობით. ჯანდიერმა სწრაფად შეადგინა მოქმედების გეგმა. თავისი რაზმით, ითა-მთა გაედევნა ლეკებს ხაზის გადასაქრულად და, მართლაც, წაასწრო კობრუქის მთის ხეობაში. ლეკები იხევებდნენ. ქართველებმა ხმლები იშრომეს და მისცივიდნენ მათ. ლეკებმა მიიღეს ეს გამოწვევა: სასტიკი ბრძოლა გამართა. ვაცხარებულ შეტაკებაში ქართველებმა პირველად ვერც კი შეამჩნიეს, რომ ხაზანგში მოხვდნენ: ლეკების ვეგებოთელა ბრობ მათ ირგვლივ ალუა შემოარტყა და შიგ ხეობაში, ციციბო კლდისაკენ დაუწყო შევიწროება. მტერი ხუთჯერ მტერი იყო. როდესაც ქართველებმა დაინახეს, რომ გზა გადაჭრილი ჰქონდათ, უსახლვრო გააფთრებით განაგრძეს ბრძოლა.

უკვე რამდენიმეჯერ დაჭრილი ჯანდიერი გააფთრებით ჰკავფავდა მტერს და თავისიანებს შესმახებდა:

— გამარლით, გამარლით, ბიჭებო! მალე მოგვეშველებიან.

ჯანდიერის ვაქცაცობით განცივიგრებული ლეკები არაერთხელ შეეცადნენ ცოცხლად ჩივრდოთ იგი ხელში, მაგრამ ვინც კი ჯანდიერისაკენ ფეხს გადასდამდა, წამსვე ძირს ვარდებოდა მისი ხმლით განამირული. მტერმა იმედო დაკარგა, რომ ამ გზის ხელში ჩაივდებოდა. ერთი ლეკი მოუთმენლად მიეკრა და თითქმის მიხვეწით ესროლა. ჯანდიერის ხმლი გაუფარდა და თავის მეზობლოებს ჩააკვდა ხელში. მაგრამ მკვლელმაც ვერ გაიხარა: მიხეილ ვანჩაძემ ხაჯლით გაუბო მკვარი.

ვანჩაძე სათავეში ჩაუდგა რაზმს და კვლავ გაჩაღდა ბრძოლა. ლეკებმა ვეღარ გაუძლიეს და იბრუნეს პირი.

ა. ვაღვილსკი



მქონდა ნიქი, არა?!

4932

4933

ბეთოვენი თავისი ცხოვრების მიწურულში ბადენში ცხოვრობდა განცალკევებულად. მცირე პენსია ძლივს ყოფილა. ერთიერთი მისი სიამოვნება იყო შორს შემკრილიყო ქალაქის ახლო მდებარე ლამაზ ტყეში და მთლად მისცემოდა შემოქმედებაზე ფიქრს... მოულოდნელად წერილი მოუვიდა, მძისწული, რომელსაც ის მხრუნველობდა, იწერებოდა, რომ ვენაში არასასიამოვნო საქმეში გამძლეოდა; მხოლოდ ბიძას შეეძლო მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა.

ბეთოვენი ვენაში გაემგზავრა. ფული რომ დაეზოგა, გზის ნაწილი ფეხით გაიარა. საღამოს ერთ სახლს მიადგა. რადგან ვენაში დიდი მანძილი იყო და ბეთოვენი კი ძალია აღარ შესწევდა, გზა ამავე საღამოს განტორობ, სახლის პატრონის სთხოვა, ღამე გამათევინეთ. სახლის პატრონმა მიიღო მზახვარი. ბეთოვენიმა მათთან ერთად იჯახა. ვახშმის შემდეგ ცეცხლს მიუჯდა.

სულერის ალაგების შემდეგ სახლის პატრონმა ძველი კლავესინი გააღო. მისმა სამმა ვაჟიშვილმა კედლიდან საკრავები ჩამოიღო. დედა და ქალიშვილი საღიასახლისო საქმეებით გაერთნენ. მამამ აჯორდი აიღო და ანსამბლმა დაჯერა დაიწყო. ეტყობოდათ, დიდი ხალხით უჯრავდნენ. სულითა და გულით განიცდიდნენ მუსიკას. ქალებმა სამუშაო შეატოვეს. მათ გულუბრყვილო სახეებზე ნაზი ემოცია აღიბეჭდა. ბეთოვენიმა მხოლოდ ამით იგრძინო და გაიგო ყოველივე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. რადგან თვითონ არაფერის მოსმენა არ შეეძლო.

დაცვრა რომ დაამთავრეს, ერთმანეთს მაგრაღ ჩამოართვეს ხელი. თითქოს ამით უნდა გაეზიარებინათ ერთიმეორისათვის მთბებულლება იმ ბედნიერებისა, რაც მათ განიცადეს. ახალგაზრდა ქალი დედას გადაეხვია. რაღაცას ბეზოდნენ... და რა მიიღეს გადაწყვეტილება, ყველა თავის საკრავს მიუბრუნდა, ისევე დაიწყეს დაცვრა. თვალში ეცრემლებოდათ და უბრწყინავდათ.

— მეგობრებო, — უთხრა ბეთოვენიმა მათ, — მე იმდენად უბედური ვარ, რომ არ შემეძლია მონაწილეობა მივიღო თქვენს სიამოვნებაში. მეც მოყვარს მუსიკა, მაგრამ, ალბათ უკვე შემაჩინეთ, რომ მე ყრუ ვარ და არაერთი ხმა არ მესმის. ნება მომე-

ცით წაეციტხოთ ეს მუსიკა, რომელიც ამდენ განცდებს იწვევს თქვენში.

ბეთოვენიმა რვეული ხელში აიღო. თვალეში ცრემლი მოერია, სუნთქვა შეუწყდა და რვეული ხელიდან გაუვარდა. ის, რასაც მასპინძლები უჯრავდნენ, რაც მათ ასე აფრთოვანებდათ, იყო ბეთოვენის სიმფონის ალფერეტო.

მთელი ოჯახი უმაღ ბეთოვენის ირგველი შემოიკრებოდა. ნიშნებით ატყობინებდნენ, რომ ძალიან გაკვირვებული არიან და აინტერესებთ გაიგონ, რაშია საქმე. რამდენიმე წუთს მუღუვარება ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა ბეთოვენი, ხოლო შემდეგ კი უპასუხა:

— მე ბეთოვენი ვარ. მასპინძლებმა ქულები მოიხადეს. უსიტყვოდ მოკრძალებით თავები დახვარეს. ბეთოვენიმა ხელი გაუწოდა. მასპინძლები უკოცნიდნენ და ართმევდნენ მას ხელს. სახეში შეჭყურებდნენ. რათა დაენახათ იქ ნიშანი გენიოსობისა. ბეთოვენიმა ხელები გაიშვირა მათკენ და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, — მამა, დედა, ახალგაზრდა ქალიშვილი და სამივე ვაჟი. მეტე მივიღო კლავესინთან. სამივე ახალგაზრდას ანიშნა, აელოთ თავიანთი საკრავები და მათთან ერთად თვით შესარულა ეს შედეგრი. ყველა აღფრთოვანებული იყო. არასოდეს მუსიკა არ ყოფილა ისეთი ღამაში და სრულყოფილი.

როცა დაცვრა დაამთავრეს, ბეთოვენი კლავესინთან დარჩა და განაგრძობდა დაცვრას. ის დიდხანს, თითქმის შუალამდე უჯრავდა ბედნიერების გამოშხატულ ჰანგებს.

ოჯახის უფროსმა სთხოვა მას დაწოლიყო. ბეთოვენი დაეთანხმა. შუალამისას სიტყვ მისცა, ლოგინიდან ადგა. ჰაერი არა ჰყოფნიდა, მილიად სოფელში გავიდა. ნიაფი ამბიკლებდა ხის ფოთლებს. ბეთოვენიმა დიდი ხანი დაჰყო გარეთ. მთლად გაციებულ დიბრუნდა სახლში. ეჭიმი მოუყვანეს. მუსიკის წყალმანკი აღმოაჩნდა. მიუხედავად დიდი მხრუნველობისა, ორი დღის შემდეგ ეჭიმა განაცხადა, რომ ბეთოვენის სიკვდილი მოელოდა. მართლაც სიცოცხლე ყოველ წუთს ეცლებოდა.

როდესაც ბეთხოვენი სწოლზე უკვე
 ხრილობდა, ერთმა კაცმა შემოაღო ოთახის
 კარი. ეს იყო ჰუმელი — ბეთხოვენის
 ერთადერთი ძველი მეგობარი. მას შეეტყო
 ბეთხოვენის ავადმყოფობა. მოვიდა მის მო-
 საელეულად, თან ფულიც მოუტანა. მაგრამ
 უკვე გვიან იყო: ბეთხოვენი უკვე ვეღარ
 ლაპარაკობდა. ცნობიერი თვალებით შეხედა
 მან ჰუმელს, სხვანაირად არ შეეძლო მიე-
 მართა მისთვის. ჰუმელი დახარა და აქუს-
 ტრატორი მილით, რომლის საშუალებითაც

ბეთხოვენს ზოგიერთი ძლიერ ხმაძლდა ხა-
 ქვაში სიტყვის გავონება შეეძლო, უთხრებოდა
 რომ თანაუგრძნობს მას და ძლიერ უთხრებოდა
 მისი ასეთი მდგომარეობის გამო. ბეთხოვენი
 თითქოს გამოცოცხლდა, თვალები გაუბრ-
 წყინდა და უთხრა ჰუმელს:

— ჰუმელ, მქონდა მე ნიჭი, არა?

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

თავისუფალი თარგმანი ფრანგულიდან

ნათელა ჯიბლაძისა



რა პატარა ხარ, ჩემო ბელურავ,
 მაგრამ მიყვარხარ ძლიერ:

იქნებ იმიტომ, იქნებ იმიტომ,
 ატარებ მიწის იერს.

არც მერცხალივით თეთრი გული
 გაქვს,

ვერც ბულბულივით ჰგალობ,
 მაგრამ გიზიდავს სოფლის ხმაური,
 ეზო და საბძელ-კალო.

ხან თვალს მოგტაცებს ლურჯი
 ლაქვარდი,

გსურს აცურება ცაში,
 შეიფრთხილებ სახლების ზემოთ
 და პატარა ფრთებს გაშლი.

მაგრამ ვერ აღწევ ღრუბელთ
 სამეფოს,

არც გზიბლავს სიმარტოვე, —
 დაუბრუნდები ისევ სახურავს,
 ვერა, ვერ მიგვატოვებ.

როცა საავდრო შავი ღრუბლები
 გადაფარება ზეცას

და შემოდგომა ყვითელ ფოთლებით
 ფრთებს ნაზად დაიკეცავს,

როს მთებს ეწვევა თოვლი
 პირველი, —

მგოსანთა სასიძღვრო, —
 და შორეული ინდოეთისკენ
 გზას გაუდგება წერო, —

მაშინ შენ ფიქრობ: „ისევ დადგება
 საამო გაზაფხული.“

აქ მირჩენია, უცხო ქვეყნისკენ,
 რა ვქნა, არ მიწვევს გული.

ვერას დამაკლებს ცივი ზამთარი
 და სუსხიანი ქარი,
 ჩემი სამშობლო მხოლოდ აქ არი
 და ჩემი საკენკარი“.

ასეთი რომ ხარ, ჩიტო ბელურავ,
 მიყვარხარ სწორედ იმიტომ;
 ჩემთან მოფრინდი, ჩემთან
 მოფრინდი,

ჩემო პატარა ჩიტო!

პაპაძე პაპაძე



ნარკვი

რომელ თქვენგანს არ აუშვია მალა სა-
თამაშო ფრიალა? რასაკვირველია, ყველას.
როცა ბავშვი ვიყავი, ჩვენ, ბავშვები, ვა-
კეთებდით კოლოფისებურ სათამაშო ფრია-
ლას ტყაცუნათი. ასეთი ფრიალა ფრინავდა
და ხმაურობდა თვითმფრინავის მსგავსად.
ქარი გაიტაცებდა მას და წაიღებდა მალა.
თითქმის ღრუბლებამდის.

წყნარ ამიხლში წვრილ თოჯნე მიმბმული
ფრიალა რომ მალა ავიდეს, საქირია გაირ-
ბინო. ფრიალა ყოველთვის ფრინავს შემხ-
ველრი ქარის მეოხებით.

თუ ძალიან ჩქარა გარბიხარ და ფრიალას
ეწევი, შეიძლება მას დავამაგროთ ტვირთი.
ფრიალა ტვირთს მალა აიტანს (ამ შემთხ-
ვევაში, რასაკვირველია, ფრიალა უნდა იყოს
დიდი).

თუ ძალიან დიდ ფრიალას ვაეკეთებთ,
შეიძლება თუ არა მან ადამიანი აიტანოს
მალა? როგორ ფიქრობთ?

დაახლოებით ოთხმოცდაათი წლის წინათ
რუსეთის ერთი სოფლის ქუჩაზე ბავშვები
ლახტს თამაშობდნენ. მათევენ მთელი სისწ-
რაფით სახეგაწითლებული ბიჭუნა გარბო-
და. ის ჯერ კიდევ შორიდან ყვიროდა:

— ბავშვებო, საოცრება! საოცრება!

მართლაც ეს „საოცრება“ ბიჭუნას უკან
მოსდევდა; ეს იყო ფორანი, რომელ-
საც სამი ცხენი, მოაქროლებდა. ფორანის
მალა, როგორც ზღაპრული ურჩხული, ვეე-
ბერთელა კოლოფისებური ფრიალა ფრი-
ნავდა, ბაგირით ფორანზე მიბმული.

ამ მფრინავ ფრიალაზე იწვა შავ, საზღვაო
ტანისამოსში გამოწყობილი ადამიანი.

ქუჩაზე გადაშვალ დედაბერს გოცნებო-
საგან ხელიდან ედვროები გაუვარდა. შეე-
დღა აცხატანებული ხელით პირჯვარი გა-
დაიწერა და წარმოსთქვა:

— შორს ჩემგან, ბოროტო სულო! გრია-
ზოვეცული ბატონი ისევ თავხედობს, ის
ურწმუნო!

„ბოროტი სული“ აქ არავითარ შუაში არ
იყო. „ის ურწმუნო“ სრულიად არ თავხე-
დობდა, არამედ აკეთებდა დიდ საქმეს.

იმ ვეებერთელა ფრიალათი ფრინავდა
თვითმფრინავის მომავალი გამოგონებელი
ალექსანდრე მოჟაისკი.

თითქოს უბრალო ხუმრობა იყო—ქალა-
ლის ფრიალა. ყოველ ბავშვს შეუძლია ვაა-
კეთოს იგი. მაგრამ მისი ფრენის შესწავლამ
მოჟაისკი დიდ გამოგონებამდე მიიყვანა.

ალექსანდრე მოჟაისკი დაიბადა 1825
წელს, 9 მარტს, შამაჰისი სამხედრო მეზ-
ღური იყო.

როდესაც პატარა ალექსანდრეს სწავლის
დაწყების დრო დაუდგა, ის საზღვაოსნო
ოფიცერთა სკოლაში შეიყვანეს.

საზღვაოსნო სკოლაში მოჟაისკის ასწავ-
ლიდნენ ზღვაზე იალქნიანი ხომალდების ტა-
რების ხელოვნებას. ეს ხომალდები დადიო-
ნდნენ ქარის ძალით. ამ ხანებში დაიწყო მო-
ჟაისკიმ ფიქრი დიდ საქმეზე: ის ოცნებო-
ბდა ქარის ძალა, ჰაერის მოძრაობა გამოეყ-
ენებინა მალა საფრენად; ფიქრობდა შეექმ-
ნა მფრინავი აპარატი.

შესაძლებელია მას ეს აზრი ადრე ბავშვო-
ბისას დაებდა, როდესაც სათამაშო ფრიალა
აუშვა ჰაერში.

მოჟაისკიმ საზღვაოსნო სკოლა წარმატე-
ბით დაამთავრა. ახლა ცურავა დიდი იალქ-
ნიანი ხომალდებით დიწყო. ცურავდა შო-
რეულ ზღვებზე, მოიარა პოლარული
წყლები.

ჩრდილოეთის ყინულებს შორის და მცხუნ-
ვარე ტროპიკულ ცის ქვეშ ახლაგანდა



ოფიცერი თავისუფალ დროს ყოველთვის მუცხიერების შესწავლას აბრძობდა.

ხომალდის ცხვირზე მოთავსებულ თავის პატარა კაბუტაში მოჰყავს მრავალი წიგნი წაიკითხა, ბევრი რამ მოიფიქრა და ბევრი სხვადასხვაგვარი წელსაწყო გააკეთა.

ზღვებსა და ოკეანეებზე ცურვის დროს მოჰყავს ყურადღებით ავირიდებოდა ზღვის ფრინველების ფრენას.

ის ფიქრობდა: „თუ ჰაერს შეუძლია დაოკროს ფრინველი, მას შეეძლება დაიჭიროს ადამიანის ხელით გაკეთებული აპარატიც. საჭიროა მხოლოდ ეს აპარატი გაკეთებულ იქნას სწორად. მაგრამ, სახელდობრ, როგორ გაკეთდეს სწორად? აიგოს აპარატი მოძრავი ფრთებით? არა, არ ღირს ცდად. მრავალ გამომგონებელს ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში უკვე ნაცად აღეთ ფრინველის წელსაძეველი აპარატის აგება, მაგრამ ასეთი აპარატი მაღლა არც ერთი მათგანი არ აფრენილა. ნუთუ არ შეიძლება აიგოს საპაერო ფრიალის მსგავსი აპარატი? აჲ ფრიალა, რომელიც ადამიანის ხელმა გააკეთა, ფრინავს!“

მოჰყავს ახლა თავისთავს ასეთი კითხვები დაუსვა:

რა აიძულებს ფრიალს გაფრინდეს? რა იჭერს მას ჰაერში? შეიძლება თუ არა ძალიან დიდმა ფრიალამ თან აიტანოს ადამიანი? როგორ შეიძლება უკეთესად გაკეთდეს ასეთი ფრიალი? როგორ შეიძლება ფრიალამ იფრინოს იმ მიმართულებით, საითაც გსურს და არა იქით, საითაც ქარი ჰჭრის?

1863 წელს მოჰყავსი დროებით გადავიდა სამოქალაქო სამსახურში. დაესახლა გრაფი ზოვეციის მახრამი. იქ მან აავო უზარმაზარი ფრიალი, რომლის გამოჩენამ, როგორც ზემოთ ვთქვით, მეზობელ სოფელში აღიაქოთი გამოიწვია.

ფრიალამ შესძლო ადამიანის — თვით მოჰყავსის ატანა ჰაერში.

ფრიალაზე ცდებლის მოხდენის შემდეგ გამომგონებელი მიხვდა, რომ საჭირო იყო ფრიალს წვევა არა მიწიდან ცხენებით, არამედ თვით ფრიალაზე დადგმული მოწყობილობით.

მოჰყავსი იყო მეზღვაური. ეს გამოადგამს.

იმ დროში ხომალდების უმრავლესობა იალქნების საშუალებით მიმოდინოდა, მაგრამ იყო ორთქლის ძალით მოსაარულე გემებიც. მოჰყავსიმ, რასაკვირველია, იცოდა მათი მოწყობილობა.

ორთქლით მავალი გემი წინ მიიწევს ორთქლის მანქანის დახმარებით. ორთქლის მანქანა აბრუნებს ხრახნს, ხრახნი კი ბურ-

ღავს წყალს, როგორც სველი ხეის და წინ წივსა ვემს.

მოჰყავსი ფიქრობდა: „არ შეეძლება კეთდეს პატარა, მაგრამ ძლიერი ორთქლის მანქანა? ასეთი მანქანის დადგმა შეიძლება ფრიალაზე. ის დაატრიალებს ხრახნს, ხრახნი გასკრის ჰაერს და ფრიალს დასძრავს წინ. მასში ფრიალსათვის არ იქნება საჭირო არც ცხენები, არც ბავირები. ფრიალა თვითონ იფრენს. ის გახდება თვითმფრინავი.“

მოუვიდა რა ეს აზრი, მოჰყავსის არ დაუხანებია. დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გაკეთებია მანქანა, ხრახნი და როგორ უნდა მიემართა ფრიალა ჰაერში.

გამომგონებელმა ბევრი უძილო ღამე გაატარა ნახაზებზე. უბრალო საქმე ხომ არ იყო! უნდა შეეძინა ახალი ტიპის მსუბუქი, მაგრამ ძლიერი ორთქლის მანქანა. იმ დროს ყველა ორთქლის მანქანა იყო ვეება და სუსტძალიანი.

ერთხელ მოჰყავსიმ არაჩვეულებრივად ადრე გადასდო გვერდზე სახაზავი ხელსაწყოები და კარადიდან ლითონის საყინძიანი დიდი საქალაღდე (პაპია) გამოიღო. შემდეგ ფურცლები ფურცლებზე დააოგა, — ყველა ნახაზი საქალაღდეში ჩასდო.

ისინი უკვე დასრულებული იყო.

* * *

ახლა საჭირო იყო თვითმფრინავის აგება. მოჰყავსიმ მიმართა მეფის მოხელეებს პეტერბურგში და თვითმფრინავის ასაგებად ფული სთხოვა. თვითმფრინავი არა საუკუნოვ მოჰყავსისათვის კეთდებოდა, არამედ მთელი რუსეთისათვის. მიუხედავად ამისა, მოხელეებმა ფულის გაცემა გააქაინურეს. გამოგონებელმა ბევრი სამუშაო თავისი ფულით შეასრულა.

და, აჲ, 1882 წლის 20 ივლისს, პეტერბურგის ახლო, დედერგოფის მინდორზე შეიკრიბნენ პირველი თვითმფრინავის მშენებელი მუშები, სწავლულები და სამხედრო უწყების წარმომადგენლები. ბორცვზე, რომლის დამრეცზე ფიცრები იყო დადგმული, იდგა თვითმფრინავი. თვითმფრინავში იჯდა პირველი რუსი მფრინავი გოლუბევი. ეს იყო მოჰყავსის ერთერთი ახლო დამხმარეთაგანი.


თვითონ გამომგონებელს, რომელსაც უკვე ორმოცდაჩემეტი წელი შეუძსრულდა, გაფრენის ნება არ მისცეს. იგი იდგა და უკანასკნელ დარიგებას აძლევდა გოლუბევის. აგერ, კიდევ გასცა ბრძანება, — და გოლუბევი მანქანას სრული სიჩქარე მისცა. თვითმფრინავი გასრიალდა დიცრებით დაგებულ საფრენ გზაზე. ის გაიქცა სულ ჩქა-

რა და ჩქარა, გზა დასრულდა და... თვით-მფრინავი გაფრინდა. მინდორზე ხმაძალი „ვაშა“ გაისმა. ეს იყო საზეიმო წუთი. ამერიკელებმა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შესძლეს აეგოთ მფრინავი აპარატი. ამ აპარატზე ბრაუნს, ნაცვლად ორთქლის მანქანისა, ბენზინის ძრავი ამოძრავებდა. დიდი ადამიანები ოცნებობდნენ, რომ ჰარი დაეპყროთ. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ყველაზე ნათელი აზრის მქონე სწავ-

ლულები ცდილობდნენ ადამიანი თრიალთი აღექურათ.

რუსმა გამომგონებელმა პერეკინსკიმ, თვედორეს-მე მოეაჩიკიმ განხორციელეს ოცნება. პირველმა მფრინავმა დელაშიაზე, რუსმა ადამიანმა გოლუბევმა ჰაერში გააფრინა მისი თვითმფრინავი.

რუსეთმა აჩუქა კაცობრიობას ფრთები და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ამით ვამაყობთ.



ირემმა ქალაქში მოიბრინა

ქალაქ კალინინის ცირკის თავლაში მოთავსებულია დომბა (ცხენ-ირემი).

— მერე რა? — იკითხავეთ თქვენ, — თბილისის ცირკში ლომებიც მოჰყავთ.

მართალია. მხოლოდ, საქმე ისაა, რომ ეს ცხენ-ირემი თვითონ მოვიდა ქალაქში ზავილოვის ნაკრძალიდან.

აი, როგორ მოხდა ეს:

ღამე, გზატკეცილზე, ქალაქის მიმართულეობით მიდიოდა მსუბუქი ავტომანქანა. ტყიდან გზაზე გამოსულ ირემს შეეშინდა მანქანის ფანრის თვალისმომჭრელი შუქისა

და გაიქცა წინ. ორმოცდაათი კილომეტრი მიჰქროდა ირემი გზატკეცილზე, მანქანის წინ. გაურბოდა რა შუქს, გამთენიისას ირემი ქალაქში შეიჭრა და, მეფხოვეებისა და მილიციონერების გასაოცრად, ქალაქის ბაღში შეიჭროდა. აქ კი, ბაღის ტერიტორიაზე, ცირკია მოთავსებული. ცირკის ორი თანამშრომელი, რომლებიც იმ წუთს გარეთ იყვნენ გამოსული, არ დაიბნენ. ერთმა თაოლის კარები გააღო, მერე ორივემ უკანიდან მოუღარა ირემს და იგი შიგ თავლაში შედევს.





მინდის ყანა“ ჟურნალ „ნაკადულში“ დი-
ბეჭდა 1912 წლის აგვისტოში. ამის შემდეგ
პოეტმა გაჩუქვეტლოვ ბეჭდაცს ქვეყნის
და ივან-არაქებს ჟურნალ „ნაკადულსა“ და
„გუჯილში“. მეფის დუხჭირი წყობილების
დროს ილია სიხარულიძე პატარების გულ-
ში წერგავდა სამშობლოს თავისუფლების
იდეას, სწერდა მშრომელთა შვილების უყე-
თის მომავალზე.

პოეტმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლე-
ბის დროს ვაშლა მეტად ნაყოფიერი მუშა-
ობა. 1925 წელს გამოვიდა მისი ლექსების
პირველი კრებული „საბავშვო თამაშობანი“.
ილია სიხარულიძის ლექსებში ფართოდ
არის გადმოცემული სოციალისტური სამშო-
ბლოს სიყვარული. პოეტის ლექსებით ბავ-
შვები უმღერიან დიდ სტალინს, ბედნიერ სა-
მშობლოს, თავიანთ საზენიო შეკრებებზე პა-
ტარებს უდიდესი გრძნობით უყვართ წარ-
მოთქმა ი. სიხარულიძის ისეთი ლექსებისა,
რომლებშიც ბელაის სიყვარულია გამოხა-
ტული: „ლალი მოსკოვს აპირებს“, „ზურა“,
„ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა“, „ცხრა შაი-
სი“, „ბიჭუნა პირველკლასელი“ და სხვ.

პირველკლასელ ბიჭუნას ძალიან ეჩქარება
წერა-კითხვის შესწავლა და მერე რატომ?
იმიტომ, რომ დასწეროს ერთი ძვირფასი სი-
ტყუა. ბავშვმა ეს სურვილიც აისრულა და

„თქვა: საღ ყოფილა ასო „ტ“,
როგორ შორის გადაჩანდი!
გულზე შიშვია, დასწერა!
ძვირფასი სიტყვა სტალინი“.

საბჭოთა ქვეყანაში შრომა ღირსების საქ-
მეა. ილია სიხარულიძე ავიწროს პატარების
საქმიანობას, თუ როგორ ბავშვენ ისინი
შრომში უფროსებს, თუ რა დიდი მისწრა-
ფება აქვთ დაეუფლონ ხელობას.

ილიას ლექსებს მეტად მიმზიდველს ზღის
პუშორი, რომელსაც ზმირად იყენებს პოეტმა
თავის ლექსებში.

დღემდე გამოცემულია ილია სიხარულიძის
საბავშვო ლექსების (ცხრა წიგნი, წელს პოე-
ტის დაბადების სამოცი წლისთავზე საბლტ-
გამა გამოსცა მისი საბავშვო ლექსების კრე-
ბული „ბურთის სიმღერა“. ი. სიხარულიძის
მრავალი ლექსი ამჟინებს დაწყებითი კლა-
სების სასწავლო პროგრამას. იილი ზანია,
რაც ჩვენს სკოლებში ისწავლება აგრეთვე
ილია სიხარულიძის მიერ მოვადენილი ქარ-
თული ლიტერატურის სახელმძღვანელო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ილია სიხარული-
ძის ნაყოფიერი, ხანგრძლივი პედაგოგიური
მუშაობისათვის 1939 წელს მიანიჭა საჩარ-
თველოს სკოლის დამსახურებული მასწავ-
ლებლის წოდება.

ლავრანტი ზიზინაძე



ბავშვების საყვარელი პოეტი

(ილია სიხარულიძის დაბადების 60 წლის-
თავის გამო)

ჩვენში ბევრი შეგვხვდება ისეთი ოჯახი,
სადც დედა, მამა და მათი პატარა გოგონა
ან ბიჭუნა ერთნაირი სიყვარულით ამობენ
ზეპირად „ყინულის ლოლუებს“. ამ ლექსის
ავტორი არის ცნობილი საბავშვო პოეტო
ილია სიხარულიძე. მის კალამს ბევრი შესა-
ნიშნავი ლექსი ეკუთვნის.

ილია ლუკასძე სიხარულიძე დაიბადა
1889 წელს გურიაში, სოფელ ბუქისციხეში.
მამა ადრე გარდაეცვალა, მაგრამ მოამაგე
დედისა და უფროსი ძმის ფილიპეს ხელის-
შეწყობით 1909 წელს იგი შედის ხონის (წუ-
ლუკიძის) საოსტატო სემინარიაში. სემინარ-
იის 1913 წელს ამთავრებს, რის შემდეგ
პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. უმაღ-
ლეს განათლებას მოწყურებული ილია სიხარ-
ულიძე შედის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში და მუშაობიდან მოუწყვეტ-
ლად 1925 წელს ამთავრებს უნივერსიტეტის
ფილოლოგიურ ფაკულტეტს.
ილია სიხარულიძის პირველი ლექსი „სი



შანგო მოსკოვის ზოოპარკის ყველაზე დიდი სპილოა. ბავშვები რომ დაინახავენ სპილოს, ყვირიან: „დედი! შეხედე, როგორი მთააა“. სპილო მართლაც მთას გავს, იგი ისეთი მძიმეა, დიდი და რუხი.

მოიყვანეს იგი რომელიმე სამხეცედან. ამბობდნენ, რომ შანგო შეტად ავიდა, საშიში. ამიტომაც სპილოს ზოოპარკში უფრთხილდებოდნენ.

შანგოს გარდა ზოოპარკში კიდევ ოთხი სპილო ცხოვრობდა: ნონა, ჯინდაუ, მანკა და მირზა. მათ შორის ყველაზე დიდი იყო აფრიკიდან ჩამოყვანილი სპილო — ნონა, ხოლო ყველაზე პატარა და განებივრებული — მირზა. პარკის თანამშრომლებს სწორედ ამ სპილოს ბედი აღელვებდათ. ვინ იცის ამ პატარას როგორ მოეპყრობა შანგო? იქნებ გაართყვას და დაამახინჯოს? მაინც იძულებული იქნენ შანგო შეეშვათ სპილოებთან. თან.

შანგო რომ დაინახეს სპილოებმა, ერთად მოიყარეს თავი და ცნობისყოყმით შესცქეროდნენ მას. შანგოს თითქოს არავინ შეუნიშნავს, ჩაუარა დედა სპილოებს, ბორცვზე ავიდა და შეჩერდა.

სპილოებისათვის განკუთვნილი გორაკი ყველაზე უფრო მაღალი ადგილია ზოოპარკში. შანგო იდგა გაუნძრევლად, როგორც ქანდაკება. ზორითომზე დიდი, მძიმე ჯაჭვი ეკიდა. ერთხანს შანგო ასე იყო, მერე გადაიხსროლა და როცა ჯაჭვი მიწაზე დაეცა, შანგომ მაღლა ასწია ხორთუმი და გამაყრუებელი მისი ძახილი გაიგონეს ზოოპარკის ბინადრებმა. ჯერ მხოლოდ შანგო ყვიროდა, შემდეგ სხვა სპილოებმაც მისივე ხანძარი, შანგოს გარშემო დადიოდნენ, მიწაზე ურტყამ-

დნენ ხორთუმს და ისე ერთხმად გაჰყვიროდნენ, რომ მათი ყვირილის გარდა არაფერი ისმოდა. გაცნობის პირველსავე დღიდანვე სპილოებმა იცნეს შანგო მეთაურად და დაემორჩილნენ მას. ახლა სპილოები საღვთოდან მხოლოდ ერთად გამოდიოდნენ და ყოველთვის მათ წინ მიუძღოდა შანგო.

სამაგიეროდ, შანგო სულ სხვანაირად ექცეოდა ადამიანებს. თუ წინათ მსახურნი თავს უსულვლად შედიოდნენ სპილოებთან, საკვებს აძლევდნენ, ასუფთავებდნენ იჭაურობას, ახლა შანგომ დევნა დაუწყო მათ—ხორთუმს ასწევდა, გაეკიდებოდა.

შანგო ერთხელ მსახურს აწეული ხორთუმით მივიარდა. მსახურს უნდოდა გაეცევა, მაგრამ წაბორძიკდა. ყველაფერი ეს მოხდა ზოოპარკში მყაურებელთა თანდასწრებით. შიშისაგან ყველა გარინდა. ვილაკამ დაიყვირა. ფიქრობდნენ, რომ სპილო მსახურს გასრესდა, მაგრამ სპილო არ შეხებია, მის წინ შეჩერდა. ყველა დაძაბულად ელოდა — რა მოხდებოდა.

ორი წუთის განმავლობაში იდგა შანგო, მერე ხორთუმით ფრთხილად ასწია მსახურა, ფეხზე დააყენა. მხოლოდ მაშინ, როცა მსახური მოაჯირზე გადადიოდა, შანგომ „ოღნა“ უბძეა ხორთუმით. მაგრამ ეს საქმარი სი იყო იმისათვის, რომ მსახურს დანარჩენი გზა ჰქრში გაეცვლა.

შანგო ჩვეულებრივ თმებოდა მზეზე, როცა რაღომც ცნობა მოიტანა — ფაშისტები თავს დაეგესხნენ, ომი დაიწყო.

მაღე ზოოპარკში ეღვარ ნახავდით მნახველებს. სადილაც გაჰქრნენ ნაცნობი მსახურნი, — ისინი ქალებმა შესცვალეს.

ზოოპარკი დაისერა თხრილებით, ტრანშეებით.

შერე დაიწყო საპაერო განგაში.

სირენის გამყვარი ხმა უტედა შეიქრა ქალაქის ჩვეულებრივ ხმაურში. შანგის არასოდეს გაუგონია სირენის ხმა. ის არ გავდა მხეცების ჩვეულებრივ ღმუილს, არ გავდა ქალაქურ ხმებს და ეს ხმა რატომღაც წერგავდა მასში მოუსვენრობას.

ერთხელ სპილოები არ შეურეკაით სადგომში ღამის გასათევად. სირენის ახმაურებისთანავე ყუბაჩების გასკდომის ყრუ ხმებმა შეარყიეს მიწა. სპილოები შეჯავღუნდნენ სადგომია კედელთან, როცა მოულოდნელად სისინით რაღაცა დევეც მოედნის მანლობდა. ეს იყო ცეცხლწამყვანი ყუბაჩარი. ის შოშინებდა და გარშემო ყრიდა ცეცხლის ნაპერწყლებს, შენობას ემუქრებოდა დაწვით.

შანგომ იცოდა, რა არის ცეცხლი. ჯერ კიდევ სამხედროში გამოუმუშავდა ჩვევა: არც შეხებოდა, არც შეშინებოდა. აქ კი, პატარა, ცეცხლშოკიდებულ სვანში მან იგრძნო მტერი, მტერი, რომლისგანაც თავი უნდა დარიცვა და რომელსაც არ შეიძლება ხელი ახლო. სპილომ დაიწყო ქვის ძებნა, რომ ანთებული საგნისათვის ესროლა, მაგრამ ქვა არ იყო. მამინ შანგომ ხორთუმით აიღო სილა და ანთებულ ყუბაჩას მიაყარა. ცეცხლმა თითქოს იკლო. სპილომ კიდევ მიაყარა. ასე აყრიდა სილას. ვიდრე ყუბაჩა არ ჩაქრა და იქ პატარა ბორცვი არ ამოიზარდა. მამინ შანგო მოიქცა ისე, როგორც სამუდგელ მტერს ემკვირან მისი მოდგმისანი ტყეში თავისუფალი ცხოვრების დროს: შედგა ბორცვზე და ტყეში იდა. ვიდრე იგი მიწასთან არ გაასწორა.

ამ საპაერო თავდასხმის შემდეგ გადასწყვიტეს: სპილოები და სხვა მხეცები მოსკოვიდან გაეყვანათ. შანგო ისე იყო აღგზნებული, რომ ქუჩაში მისი გატარება ვერ გაბედეს.

შანგო მარტო არ დარჩინილა, როცა მოინდომეს ჯინდაუს წაყვანა. შანგომ გადასწყვიტა, არავითარ შემთხვევაში არ გამოერბოდა მეგობარს.

ერთად დიდ ხანს არ ყოფილან. მალე ჯინდაუ ავდ გახდა. შანგო ეთამაშებოდა ჯინდაუს. უბრძებდა, თითქოს იწყებდა სარბენად, მაგრამ ჯინდაუ არ იძვროდა. ის წერილი ხმით საწყალობლად ყვიროდა: სამიოთხი დღის შემდეგ შანგო თავათ მიხვდა, რომ მეგობარი კარგად ვერ არის და ათის შემდეგ აღარ აწუხებდა.

დღითი დღე ჯინდაუს მდგომარეობა უარესდებოდა.

ამბობენ: ავადმყოფი სპილოები აღარ წვებიან, რადგან ეშინიათ — ვეოარ ავდებში

თო, ჩვენს შიძვე სხეულს ვეოარ ვეწვიოთ. არ ვოცო მართალია თუ არა ეს, მაგრამ ჯინდაუ აღარ წვებოდა, ფეხზე მდგომარეობდა. ერთხელ, დღისით, მოინდომა გარეთ გასვლა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისაკენ და უტეხ მძიმედ დაეშვა იატაკზე და დაწვნა.

შანგო აღელდა, ეცა ჯინდაუს, ცდილობდა აეყენებინა, მაგრამ ჯინდაუ არ ამდგარა. მამინ შანგომ ყვირილი მართო და მერე უწონობაში შევიარდა. გამოცდილი მსახურები მიხედნენ რამც იყო საქმი და კარები მიუხურეს. რამდენიმე დღე შანგო დაკეტილ სადგომში ჰყავდათ. ამ ხნის განმავლობაში შანგო ამაოდ უხმობდა თავის მეგობარს. როცა სადგომიდან გამოუშვეს, ყველამ ნახა თუ როგორ გახდა იგი.

შანგო არ ეძებდა მეგობარს. როგორც ყოველთვის, შანგო ავიდა მის საყვარელ გორაკზე. მცირე ხანს უძრავად იღვა, მერე თავი წელა დასწია. თავს დაბლა ხრღადა, ვიდრე მიწას ეშვებოდა არ შეეხო. მამინ მან ჩაიჩოქა და ღრმად, თბილ მიწაში ბოლომდე ჩაუშვა ეშვები. ასე უძრავად იყო დიდ ხანს...

ამით გამოხატა შანგომ მწუხარება.

გამოკრთებული რუსულიდან **ა. ლომიძის**

ნახ. ა. კანდელაკისა



ვანო სარაჯიშვილი

(გარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო)

ვანო სარაჯიშვილი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ვოკალურ სკოლას.

ვანო სარაჯიშვილი დაიბადა 1879 წ. სიღნაღში. მისი მამა — პეტრე მუსიკის დიდი მოყვარული იყო. მას ჰყავდა 14 შვილი. ვაჟებიდან მუსიკალური ნიჭით პატარაობიდანვე გამოირჩეოდნენ ანდრო და ვანო. 1888 წელს ვანო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიბარეს. იქ ის სხვა საგნებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა მუსიკასაც. ლოტბარ ზ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით ვანო სისტემატურად ეცნობა ქართული ხალხური შემოქმედების მნიშვნელოვან ნიმუშებს.

1898 წელს ვანო მუსიკალურ სასწავლებელში შევიდა, სადაც თეორიულ საგნებს სწავლობდა კლენოვსკისთან და დობერთან, ხოლო ჩელოზე დაკვრას — თავის ბიძაშვილთან. ამ დროისათვის ვანოს უკვე შეესანიშნავე ხმა ჰქონდა და სანდრო კავსაძის გუნდში მომღერლად მოეწყო.

1903 წელს ვანო უკვე პეტერბურგშია. იქ მან სამი წლის განმავლობაში საფუძვლიანად გაიარა ვოკალური (სასიმღერო) სკოლა, ცნობილ მასწავლებელ პრიასიშვიკოვთან. პეტერბურგში სწავლის დამთავრების შემდეგ, 1906 წ. ვანო სარაჯიშვილი საზღვარგარეთ გაემგზავრა. იტალიაში ვანო გაეცნო იტალიის საოპერო კულტურას. იქ ის დიდი წარმატებით გამოდიოდა მთელ რიგ ოპერებში („ტრაეიატა“, „რიგოლეტო“ და სხვ.).

ვანომ ველარ გაუძლო სამშობლოსაგან დაშორებით ცხოვრებას და 1908 წელს დაბრუნდა თბილისში. სწორედ ამ წლიდან იწყება მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. ვანო უკვე სახელგანთქმული მსახიობია და სისტემატურად გამოდის პეტერბურგის, ბაქოს, კისლოვოდსკისა და თბილისის საოპერო სცენებზე.



ქართული
მუსიკის

მის რეპერტუარს შეადგენდნენ ოპერები: „რიგოლეტო“, „ტრაეიატა“, „აიდა“, „ოტელო“, „ვერტერი“, „მარგალიტის მადიბელნი“, „პიკის ქალი“ და სხვ. ვანო სარაჯიშვილმა პირველმა მოგვცა ქართული ოპერების სახეები: შოთასი (არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“), ახვალთისა (ფალიაშვილის ოპერაში „ახვალთის და ვთერი“), მალხაზისა (ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“) და სხვ.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვანოს ქართული კამერული მუსიკის პოპულარიზაციაში. მისი საყვარელი რომანსები იყო: „ოდესაც გიციქვრ“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ჩემი ვარსკვლავი“ და „გენაცვავი“.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, დიდი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1924 წ. 11 ნოემბერს. სარაჯიშვილის სახე და მოღვაწეობა სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხალხის სსოვნაში. მისი სახელი დღეს მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას.

ა. ჩაიშვილი





გე. გომიჯავილი *

(ტყე ბუნჩნარებით. გადახეული ხე. მოსმის ჩიტუ-
ბის ტიკტიკა. შემორბის ცერცეტა).

ცერცეტა — რა კარგია აქ. რეები ენახე... როგო-
რია დედაჩემო... არსად არ მიშვებს. განა შეიძლება
დედამ შეიღო ასეთ ადგილას არ გაუშვას? როგორ
შეიძლება ტუის პირს ცხოვრობდე და ასეთი სილამა-
ზე არ ნახო. აქ თითქოს ჩიტებიც უკეთესად გალო-
ბენ. (შალიდან მოსმის ხმა: ცერ-ცეტა, ცერ-ცეტა)
ვინ შეძახის? დედაჩემის ხმას არ ჰგავს. (ათვლიე-
რებს) არაგინა. (ხმა მეორდება: ცერ-ცეტა... ცერ-
ცეტა მაღლა იხედება). ეს ხომ ენატანია კეკეკია...
ვინ იცის, დედაცოც ამბავი წაუღოს უნდა დავიწყო.
(იმალბა ბუნჩებში. ათული და ბათული კენის მო-
გორებზე).

ბათული — ათული, შენი ჭირიმე კიდევ მაკამე,
რა, თაფლი...

ათული — ხომ ვითხარი აღარ არის-მეთქი, გა-
თავდა...

ბათული — შენ რომ ჰამე!

ათული — მე ფიჭა ვკამ, თაფლი აღარ არის,
აი ნახე...

ბათული — რა კარგი იყო! ნეტავ არ გათავებუ-
ლიყო! (ათული ადის გაწოლილ ხეზე) სად მიხვალ?

ათული — ამოდი, ამოდი... მხოლოდ ფრთხილად,
არ გადმოვარდე. (ბათული ადის ხეზე) ძირს გადახტე-
ბი?

ბათული — რატომაც არა...

ათული — შენ პატარა ხარ, გეცინება. მე მიუყ-
რე... მო! (გადახტება) ახლა შენი!

ბათული — ა? ჩამოვხტე? (ეშინია)

ათული — გეშინია, გეშინია! ხომ ვითხარი პატა-
რა ხარ-მეთქი.

ბათული — აბა თუ მეშინია მიუყრე! ერთი...
ორი... სამი... (შეჩერდება)

ათული — რას უცდი, რატომ არ ხტები?

ბათული — აქეთ გადავხვებ თუ იქით?

ათული — საითაც გინდა.

ბათული — კარგი, კარგი ერთი... ორი... სამი...
ვამე!

ათული — რა იყო?

ბათული — კბილი ამტყავდა...

ბათული — ხომ ვითხარი, ამდენ თაფლს ნუ ჰამ-
მეთქი...

ბათული — ჩამომიყვანე, რა...

ათული — რა გაუგონარი ხარ... (ადის ხეზე) ჩა-
მოდი...

ბათული — ნელა, ნელა, არ ჩამომავლო... (ერთ-
მანეთს ებღეშებიან, ოთხვენი ძირს გადავარდე-
ბიან. ბათული დაიწვევს ტირალს)

ათული — როგორი ხარ, როგორი! შენი გული-
სათვის ვვერდები დამემტვრა... მოვიდეს დედაცო,
ვეტყვი, რომ არ მიყვრები.

ბათული — აა... აა...

ათული — (ავჯერებს) აა... აა... ვაჩერდი...

დათუნი — (ქულისებიდან) ათული, ბათული...

ათული — დედაცო მოდის, გაჩერდი ახლავე!

დათუნი — (შემოდის) აქ რას აკეთებ?

ათული — ვთამაშობთ, დედა.

დათუნი — (ბათულის) შენ ძირს რათ კოტრი-
ალო?

ბათული — კბილი ამტყავდა.

დათუნი — უფრი მივდეთ: ახლა აქ მოვა წაწა-
ლა, — მელთა კუდაგრძელია თავის მელციკ-ცანცა-
ლთი. არ შემარცხვინოთ, თავი დინჯათ გეპიროთ.
ივარჯიშეთ!

ათული — ჯერ არა.

დათუნი — რატომ? მე ხომ ვითხარით, უწველ-
დილთ ამ სუფთა პერზე ივარჯიშეთ-მეთქი... ჯანი
მოგეშატებათ, ჯანი... გაჯანსაღდებთ... დადქით.
(ათული და ბათული დგებიან) დაეწყეთ. (ათული და
ბათული ვარჯიშობენ და კოტრილობენ ჩიტების
ტიკტიკის ხმასზე ერთი... ორი... სამი (შემოდის წა-
წალა და ცანცალა).

წაწალა — დილამშვიდობისა დათუნი.

დათუნი — დილამშვიდობისა, მელაკუდავ (შეი-
ლებს ანიშებს — მიესალმეთ)

* გაგრძელება: ისილე „პიონირი“ № 10.

ცანცალა — გამარჯობათ, დათუნებო...

ბათული

და ათული — გავიმარჯოთ, გავიმარჯოთ.

წანწალა — მო-და გუშინ იმას მოგახსენებდით, ჩემი შვილი უოველ საქმეში პირველია, ხალამ დასწრებს ვინმე თუ? გაიცანით ჭრთმანეთო. (ცანცალა და დათუნები ერთმანეთს ხელს ართმევენ).

დათუნი — ვერც ჩემს შვილებს დავემზღებო. ამ ტყეში, ასეთი ზრდილობიანი ანტარები არავის არა მყავს.

წანწალა — არავისო? რასა ბრძანებთ... არავის არა მყავსო ხე, ხე, ხე, ... ჩემი შვილის ცეცვა და სიმღერა რომ ნახოთ, პირდაპირ გავგვირდებათ... გეფიცებთ.

დათუნი — სიმღერა და ცეცვა დეღამ არ იცის და შვილს საიდან ეცოდნება ხა, ხა, ხა, ხა ...

წანწალა — რაო, რაო?! მე და, — სიმღერა არ ვიცი? როგორ? თქვენ ჩემი ხმა არ გავიგონიათ? მამ შოისმინეთო. (კულს ამოიდებს თათით და ხედ ამღერებს).

ვინ არ გვიცნობს მელაკულებს, რად გვეძახით ქათმის ქურდებს; გთხოვთ: მეცა და ამ ჩემს შვილსა, ნუ გადარებთ წუწქს და ფლოლსა. ჩემს შვილიკოს, ჩემს შვილიკოს დათუნები შეედრება?

წერაკიხთვა მასწავლეო, მულამ ამას შეედრება ...
ხე, ხე, ხე

(ცანცალა დღეს ამოუდგება გვერდით, ბელები — დათეს. პოწინაღლებს მხარეს, ბარდებში თავს ამოქუფს ირმა და ყურს უდღებს)

დათუნი — შენ გგონია, რომ მე კი არ ვიცი სიმღერა? (ჯიხუხე ამღერებს)

ბათული

და ათული — მე ვარ დათვი, დინჯი დათვი, გვიყვარს წაბლი, გვიყვარს თაფლი.

დათუნი — და თუ ხაღმე გაჩნდა მტერი, ბათული

და ათული — ისე გავჩრბთ, როგორც მწერი.

დათუნი — ლამაზ ტყეში, მწიან დღეში, გორაკებზე, მთა და ველში,

დათუნი — როდესაც ვართ თაფლით მთვრალი გვიყვარს ბუქნა კოტრიალი, —
აცა, ბაცა, ჰეი!

წანწალა — მომითმინეთ... მომითმინეთ... მათ ქმეინეთ... (განავრძობს სიმღერას)

არ ჰგავს უშნო მაწანწალებს, მულამ ფრთხილად დაცანცალებს;

მოქცევა აქვს საკარბისი, ენაცვალოს დედამისი;

(ქუცუნის ცანცალას)
არც წუწკია და არც ხარბი, დღე სძინავს და ღამე ბარბის.

უყვარს სორო, კოხტა ბორცვი, ეჯავრება ქათმის ხორცი, —
ხე, ხე, ხე ...

დათუნი — (აწუვეტინებს) აცა, ბაცა ... (განავრძობს სიმღერას)

ამ ჩემს ბელებს, საუყარელებს, უველასათვის მომხიბვლელებს,

ვინ აჯობებს ზარად, მთაშო,

ან ღონეში, ან ცეცვაში ...

მე ვარ დათვი, დინჯი დათვი, დათუნი — გვიყვარს წაბლი, გვიყვარს თაფლი

დათუნი — ვის გუჯო შვილი ჩემზე კარგად

დათუნი — აცა, ბაცა, ჰეი!

წანწალა — მომითმინეთ, მომითმინეთ, მეც მათ ქმეინეთ ... (განავრძობს სიმღერას)

მულამ დაღის ჩემთან ერთად, სისუფთავე უყვარს მეტად;

საუხშის წონ თათებს იმას, ენაცვალოს დედა ამას ...

ცხე წყაროსთან იწმინდს კბილებს, მას ადარებ მაგ შენს შვილებს?

ქვიანია, მეტად ფრთხილი, სუყველას სჯობს ჩემი შვილი,
ხე, ხე, ხე!

(ცანცალა ენას უყოფს ბელებს, ბელები აჯავრებენ)

ირმა — (თავს ამოქუფს უკანა ბუჩქებიდან) ვიღომ ესენიც მშობლები არიან. როგორ ცუდად ზრდიან შვილებს. არა! თუ ჩემი შვილი აქედან არ წავივსენ, ამათგან კარგს ვერაფერს ისწავლის. (დაიხრება და ჩიბიკება. დათუნი და წანწალა ჩუმად განავრძობენ ერთმანეთში დავას).

ცანცალა — (ბუჩქებიდან თავს ამოქუფს) რა კარგი დედიკო მყავს მელიკოსაც და დათუნებსაც. ჩემი დედა კი არაოდეს არ მაქებს. მულამ მკუხას მარბიებს და მიწურება. ეს ასეთი, ეს ისეთი; რა იქნებოდა, რომ მეც ასეთი დედიკო მყოლოდა (მოფარებით ყურს უდღებს)

დათუნი — არა, მელაკუდავ! შენ ჯერ კიდევ არ იცნობ ჩემს შვილებს ... შენს შვილს კი სიმღერა არ სცოდნია.

წანწალა — ხმაზე დღეს ცოტა ვერ არის კარგად. წუხელ ერთ საქამებზე დარაჯობდა, ქამები ამოიპაროსო და თქვენ წარმოიდგინეთ, გაცივდა. მაგრამ ისეთი ლეკსები იცის, რომ ...

ბათული

და ათული — თქვას, თქვას ...
წანწალა — შვილო, ცანცალა, აბა ერთი ლეკვი გვითხარია.

ცანცალა — ვთქავ? კარგი!

საწული მეღა ჩიოდა, არ მომივიდა ძილია,





ერთსა საქათმეს მივავენი,
გამოვუთხარე ძირია.
იხვსა, ბატსა და ქათამსა
უველს გავჯარი ცბილია,
ხორცი აქვს, თეთრი ჩიჩია
და ძვლიც მებად ტბილია ...
წანწალა — (აღტაცებით) უოჩაღ! ვაშა, ვაშა!
დათუნი — მელაკუდავ! წედან ამბობდნ: ჩემი
შვილი ქათმის ხორცს არ გეახლებო, და...
წანწალა — გეფიცებით! ეს მხოლოდ ლეკსია
ასეთი... აბა, თქვენმა შვილებმა რა იციან?
დათუნი — ყველაფერი. აი, თუნდაც ვაჟიდაოთ.
წანწალა — არა, ჭიდაობა რა საკადრისია.
დათუნი — ღონეშიც გამოვცადოთ ...
წანწალა — ჩემი შვილი ჯერ პატარაა ...
დათუნი — უმცროსს დავაჭიდებ (ცხახის) ბათუ-
ლი, აბა!
ბათუნი — დავებოლო? (ათულის ყურში
უჩურჩულებს) ხომ არ წააქცევს?
ბათუნი — ნუ გეშინია.
ცანცალა — მე ვერ ვიკიდებ... ფეხი მტკივა.
გულით ეკალი შემერტო. თუ გინდათ ვიცეკვოთ.
ბათუნი — ჯერ ვიკიდოთ, შემდეგ ვიცეკვოთ.
(დატარება და წააქცევს)
ცანცალა — ვაიმე, დედიკო... როგორ შავრად
დამახეტქა... (ატირდება)
წანწალა — სუ... ნუ ტირი... მე შენ ჩიჩიას მოვ-
ცემ... ახლა კი იცავეთ. (ცეკვავს ათული, ბათული
და ცანცალა. ცერცეტა თავს ამოყოფს და უცქერის)
ცმრცმბა — მაგათზე უკეთესი ცეკვა ხომ მეც
ვიცი... ნეტავ ერთი მაიცეკვა, სუყველას ვაჯობებ.
წანწალა — ხომ ზედავ? ჩემი შვილი სჯობნის!
დათუნი — ვინ მოვახსენაო?
წანწალა — ჩემმა უყთ იცეკვა.
დათუნი — არა, ჩემებმა... (ცადიდან ჩხუბში)
წანწალა — მომიშინეთ, მომიშინეთ... კიდევ
ვაცეკვოთ...
დათუნი — კეთილი. ვაცეკვოთ... ჩვენი გვარი
ცეკვაში განთქმულია... შენ რა იცი... (ცეკვავს ცან-
ცალა და ბელბი, უცბათ ცერცეტა ჰამაღლა დაუ-
ვირებს)
ცმრცმბა — ეი! (ყველანი შეჩერდებიან) მეც ვა-
ცეკვებ რა!
დათუნი — ბიჟოს ეს ვინააა?
წანწალა — ვისი ხარ შენ?

ცმრცმბა — დედისი ...
წანწალა — ცეკვა გინდა? (ახლოს მიიწევს)
ცმრცმბა — ძალიან ...
დათუნი — შელიავ! ხელი არ ზახლო...
ზოხლის ბაჭია...
ცმრცმბა — (დათვის დაცქერდება) ექიმო დათუ-
ნი ... მიცანიო? თქვენ ის არა ხართ, მე რომ შურა-
ბა შემეპაემო?
დათუნი — სუს! კი არ შეგიპაემ, — მოგარჩინე...
წანწალა — შოდი, ძვირფასო ბაჭია, იცეკვე...
ცმრცმბა — მეშინია ...
წანწალა — ვისი? მე აქ არა ვარ! თათსად ვერა-
ვინ გახლებს. (ცერცეტა ვაგმობტება და ცეკვავს,
წანწალა ცანცალას ყურში უჩურჩულებს) ცანცალა!
როგორც კი დრო იხელთო, დაიჭირე... კარგი სადილი
ვეჭმება.
ცანცალა — კარგი დედიკო... (ცეკვის დროს
ცანცალა დამეურს ცერცეტას, ცერცეტა სახეში გაარ-
ტყავს ცანცალას და გარბის, ცანცალა ატრიალდება)
ცანცალა — ააა... ააა...
წანწალა — დაიჭირეთ, დაიჭირეთ ის გაურზღუ-
ლი, უღანაშულოდ შვილი გამოიხაბა... დაიჭირეთ...
დათუნი — ხა, ხა, ხა, უღანაშულოლო...
წანწალა — გეფიცებით, ჩქარა, გამოვუღებო...
(თათს წააუღებს ცანცალას და გარბის, ცანცალა ტი-
რილთ მიჰყვება, ათული და ბათული გაუოლოდ ხე-
ზე აღიან და უცქერიას)
დათუნი — რა გაიძვრა... რა ეშმაკია... აბა,
თქვენ ეი, ბავბავებო, მანდ რომ იცქირებით, სახლში
არ წავადეთ?
ბათუნი — ჯერ ვყოთ რა!
დათუნი — აქ კარგია, დედიკო!
დათუნი — რაც ვითხარით დამიჯერეთ, თორემ
ხომ იცით... ათისი საქმეა... მოიდრულება კიდევ; აბა,
აცა, ბაცა... (ათული და ბათული მუხის ფულურითან
კუქსს მიავრთებს და სიმღერით შეიღებს)
სამიხვი — ახლი, ბაბლი, ახლი, ბაბლი,
გვეყვარს წაბლი, გვეყვარს თაფლი,
დროს ვატარებთ მზიან დღეში,
ხან ბორცვებზე და ხან ტყეში, —
აცა, ბაცა ჭეი! (ვლიან)
ირმა — (თავს ამოკოყფს) კიდევ კარგი, რომ წა-
ვიდენენ... საწყალი ბაჭია, არ დაიჭიროს იმ წუწყმა,
იშან ...
ნაცარა — (შემოდის ღონემხილილი) არც აქ
არის... გამარჯობა ირმა...
ირმა — გამობრჯოს ნაცარა... რა შეწუხებულნი
და დაღლილი ხაზე გაქვს, რა მოხდა?
ნაცარა — რაღა რა მოხდა ჩემო ირმა. პატარა
ვიცოტა სახლდან გამოსარულა, ვეძებ, ვეძებ და ვერ
მიიღვინა.
ირმა — თეთრი ხომ არ არის?
ნაცარა — ჰო, თეთრია... ნახე თუ?
ირმა — ამ წუთში აქ იყო, მელია გაეცია...
ნაცარა — უო, მოგიკვდეს დედა... სათ წავიდ-
ნენ?
ირმა — აი, აქეთ... (ნაცარა გარბის) საწყალი ნა-
ცარა... როგორი დატანჯულია ცელში ზეფილის ხელ-
ში... (ჩაიმაღლება)
ცმრცმბა — (შემოვარდება) უჰ! რამდენი ვირბ-
ნე... ის დამეწოდა? პატარა მელდიკო ხომ მივტე-
პე... ცოტა დავისვენო! (ვლავს. მოიხმის ქუხილის
ხმა) ვაიმე... ეს რა აბავია... (ქუხილი მეორდება, წამო-



ვა წვიმა) ვაიმე, რაღა ვქნა, წვიმა დაიწყო... დედა... დედოკო... ამ ხის ძირშიც ჩაშობის წვიმა... როგორ გაფრუწე... სახლსაც ვეღარ მივაგუნებ... აქ რომ დამალაბდეს მერე რა ვქნა? ლაით ნადირები მოვლენ და ააზბათ შემკამენ. კანკალმა ამიტანა... ცა ისე ჩამობნეღდა, თითქოს დაღამდაო... ის მელია რომ უკან დაბრუნდეს და მოპაუნოს! ეს რა ჩავიდინე, რაღა გამოვიპარე სახლიდან?! (ისევ ქუხილი. მებვი გაფრუდება) ვაიმე... (ატირდება)

ირმა — (თავს ამოყოფს) თითქო ვილაც სტირის... (დინახავს) რა გატირებს ბაქიავ? წვიმა თანდათან იღებს)

ცნრცმბტ — ვაიმე... ეს ვინღა არის? (ვასკეცვად ეშაბდება)

ირმა — ნუ გეშინია, არ გაიქცე, მე ირემი ვარ.

ცნრცმბტ — ირემი? ჰოო, ვიცო, ვიცო. წიგნში ვისწავლე. მამ ეს შენა ხარ?

— ირემო მთასა მყვარალო რად ჩამოვარდი ბარადა;

— მუელღე ჩემი მომიკლეს დავებტებვი ცალადა.

ირმა — ჰო, მე ვარ! ჩემთან მოდი, ნუ გეშინია, მარტოკა ამ წვიმაში რას დაცერცებობ აქეთ-იქით?

ცნრცმბტ — ვინ ვასწავლა ჩემი სახელი?

ირმა — რა სახელი?

ცნრცმბტ — დედარემმა ცერცებტა შემარქვა...

ირმა — არც შემცდარა... იგი აქ იყო ამ წუთში, გულგაბეჭილი დაგებტებს...

ცნრცმბტ — ვინ, დედარემი?
ირმა — ჰო!
ცნრცმბტ — რისთვის დამებტებს? გიგლნიცნრცმბტ
ირმა — როგორ თუ რისთვის, სახლიდან გამოვა... რულბარ...

ცნრცმბტ — მერე ამით რა დავაშვე... ენახე მინდვრები, ყვავილები, წყაროები.

ირმა — მამ, რაღად სტიროდი? ხომ შეგეშინდა...

ცნრცმბტ — იცი! ძალიან ავი დედა მკავს, არსად არ მიშვებს.

ირმა — სწორედ იქცევა... მამ, ახლა რომ მელიას დაეპირე კარგი იქნებოდა?

ცნრცმბტ — შენ რა იცი? მიუხრები? ის როგორ დამეწევა.

ირმა — მოდი ჩემთან, შვილს გავაცნობ, იგი კვიანია, ურემოდ ფებს არსად გადადგას. ყველაფერს მეკითხება. შენ კი... წამოიდი ჩემთან...

ცნრცმბტ — შენ მატკუბებ... დამიქერ და დედასთან წამიყვან.

ირმა — მოდი მუთკი ჩემთან, თორემ იცოდე ვერ გაშისწრებ.

ცნრცმბტ — ვერც შენ დამეწევი... ჰო, ჰო! ვერ დამეწევი! ისეთი სირბილი ვიცო... ცოტა ეს იხერი კული მიშლის თორემ... (აბრაზებს)

— ირემო, მთასა მყვარალო, რად ჩამოვარდი ბარადა;

— მუელღე ჩემი მომიკლეს დავებტებვი ცალადა...

(უცბად მავრიდან ჩამოიქროლებს ბრწივი და ცერცერას მავრში აიტაცებს) ვაიმე... მიშველეთ... მე მავრში სიარული არ ვიცო... წამოვალ... დედასთან წამოვალ... მიშველეთ... ირემო...

ნატარა — (შემოვარდება. შალა იქცირება) ვაიმე... შვილო... ბოცორა... მიშველეთ, ჩემო კეთილო ირემო...

ირმა — აბა, რა გიშველო, ჩემო ნაცარა, რა შემიშლია...

ნატარა — შვილო... ბოცორა... (გულმეწეუბებულ ნაცარა ძირს დაეცემა, ირმა ზელს შეაშველებს)

ირმა — ადეკი, გული გაიმაგრე. (აყენებს) მე ვიცი მისი ბუდე... შემაჯექ ზურგზე... (შესისვამს) აი, ახე... ახლა კი მავრად ჩამოიდე რქებში თითები და პირდაპირ არწივისხაკენ გავსწიოთ. (გალიან)

ვარდა
(დასასრული იქნება)



დამსახურებული სიყვარული

პ. ქარლიშვილი

ეს იყო 1936 წელს, ზაფხულში... საამო სურნელება იდგა. მომხიბლავი იყო კახეთი ამ დროს... ბუნება სრულიად გაცოცხლებულიყო და თავისი წარბაქი სილამაზით განუმორჩებლად იზიდავდა ადამიანის თვალს.

გიორგი ქუჩიშვილი მატარებლიდან გადმოვიდა გურჯაანის სადგურში და იქვე წაქნობს შეხვდა. მათს შორის გულთბილი საუბარი გაიბა. გიორგიმ უცბად მარცხენა ხელი შეკლავს ჩაველი ნაცვობს, მარჯვენა — ალაზნისაკენ გაიშვირა, თავი ოდნავ მაღლა ასწია, გაჩერდა სწორედ ისე, როგორც მრავალჯერ გვიანხანგს ლექსის კითხვის დროს, აუღიბრობის წინაშე.

გიორგი ქუჩიშვილისათვის ეს არ იყო ვეუქტისათვის გამოკრებილი ექსტრა. იგი მისი ბუნებრივი მოძრაობა იყო, რაც წინაშეაღიბლივად გადმოგვცემდა პოეტის სულის რომანტიკულ თვისებას.

შეშლილი კუთხის სილამაზით მოხიბული პოეტი შთაგონებული ლაპარაკობდა ოდნავ აწეული ხმით, პათოსით, — თითქოს ეილიცას ედავებოთ. — მთელი მისი სხეული მოძრაობაში იყო მოსული.

— გახედეთ ალაზნის ველს და მიტხარით, სად არის ამაზე მშვენიერი კუთხე? როცა მას ვაყულებ, მე მაშინ ვიზივს თვალთ მთელს ჩემს სამშობლოს ვხედავ თავისი მჩქეფარ ბუნებითა და დიდი სულით. კახეთი ამდღა ენა, როგორც პოეტს, კახეთი ამდღავეა შთაგონებას ყოველთვის და, ალბათ, ისე მოვეცდები, რომ ვერ გავედები მისი სიყვარულით... პოეტის ამ სიტყვებში უჩვეულო სიამაყე იგრძნობოდა, რომლის მსგავსი არასოდეს შემიწინააღმდეგა.

მე ვიდექი აქვე, შეუშინებლად და გისმენდი გიორგის აღზნებულ სიტყვებს. როცა საუბარი დაამთავრა, გვირბნე მოხივდა, უცბად თვალი მომჭრა, თითქოს ვერ მივინო. დამაკვირდა. არ ელოდა... მოულოდნელმა შეხვედრამ დიდად გაახარა. იგი ველის(იხებში) მოდიოდა მძასთან—დავით თურდოსპირელთან,

რომელიც მაშინ იქ სამუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. იფიქრა — მზავრი ვი-მოვედ, და მთხოვა გავყოლოდი ველისციხეში. მე მაშინ ზემო-გურჯაანის სამუალო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი. გიორგიმ ეს არ იცოდა.—როცა შეიტყო, დავიყოლიე იმ დღეს ჩემთან დარჩენილიყო და მძასთან მეორე დღეს წასულიყო.

საუბარი ხეირიანად არც კი დაგვიწყო, რომ ხალხი შემოგვეხვია. ისინი გიორგის მისჩერებოდნენ და ჩურჩულებდნენ.—ქუჩიშვილია, შეხედე, რა ახალგაზრდად გამოიყურება, მე უფრო მოხუცი მეგონა, მისი ლექსები ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ წამოკითხავს და მისწავლია.

ამ ჩურჩულით გათამამებულმა გადავწყვიტე იმ დღესვე ქუჩიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო მომეწყო რეინიგზის კლუბში.

ცული ამინდი დადგა. საღამოს დაწყებამდე ორი საათი იყო დარჩენილი, როცა აფიშები გამოაქრეს, ყველას გვეშინოდა, გიორგიც შეწუხებული იყო. რატომ ახიბე, — მისაყვლდებოდა. — ამ წვიმაში რა საღამო მოეწყობა, ვინ გასწირავს ჩემი გულისათვის თას! — ამბობდა ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად.

პასუხს არ ვაძლედი. ძლიერ ვწუხნო. უამინდობის გამო. მოვიდა საღამოს დაწყების დროც. კლუბში უკანა კარებიდან შეუმჩნეველად შევიღით. სცენიდან ჩოზად ვათაილიერებდით პარტერს, დამსწრეებს თითობზე ვი თვლიდით... ვოჯავდით ყველა... არ გაუგებოდა ნახევარ საათს. რომ კლუბს უამრავი ხალხი მოაწყდა. მოდიოთინ სამოშაოთან და ბრუნებოლი კოლონორიები. მოსამსახურეები, მისწავლეები, რამოდენიმე წუთში დარბაზი ისე აივსო, რომ ღიჯა აღარ იყო.

თარდა გაიხსნა. ცენტრში იჯდა გიორგი ქუჩიშვილი. უცბად ტანმა იგრიალა და მთელი დარბაზი თიხე ათავა: გიორგიმ თავი შვიდად დახარა და ხალხს მაღლობა გადაუ-



ხადა. სახეზე ეტყობოდა, რომ იგი ახლა უფრო ლელავდა, ვიდრე, როცა დარბაზში არა-
ეინ იყო. ხალხის გულწრფელმა სიყვარულმა
ბავშვივით აუჩუყა გული, ისე იყო, თითქმის
იგი პირველად გამოდიოდა მრავალრიცხოვანი
აუდიტორიის წინაშე. მე მაშინ ვიგრძენი
თუ ამ მებრძოლი და მჩქეფარე ხმის პოეტის
მკერდში რა სათუთი გული სცემდა.

მონხეწება და სიტყვები დამთავრდა. დამს-
წრნი ინტერესით მოელოდნენ პოეტის გამო-
სვლას. როცა იგი სკამიდან წამოდგა, კვლავ
ძლიერმა ტამბა იგრიალა. გიორგი პრეზიდი-
უმის მაგიდასთან შეჩერდა, მცირე პაუზა ჩა-
მოკარდა. პოეტი იდგა, თითქმის რაღაცას
ფიქრობდა. თითქმის სიტყვა უნდა ეთქვა,
მაგრამ დაატყო რა თავს, რომ ლელავდა.
გადაიფიქრა, თავისებურად, უცბად დასკვნა
ლექსი და... მღელვარებაც გაჰქრა.

დარბაზში უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა,
ყველა სულგანაბლად უსმენდა. დამთავრდა
ლექსის კითხვა. თავის ათილისაკენ გაემარ-
თა დასაჯდომად. მეტის წაკითხვას არ აპი-
რებდა, — მსახიობი ხომ არა ვარ, — გვეუბ-
ნებოდა. ტამის დაუცხრომელმა გრიალმა
აიტლეს იგი კვლავ გამოსულყო.

შთული საღამოს განმავლობაში, პირველი
რიგის წინ. სკენასთან ახლო. მოსწავლე ბავ-
შვობი იდგნენ ფეხზე და მხოლოდ ქუჩი-
შვილს მისჩერებოდნენ. თვალები უბოყო-
ნავდათ, სახეზე განუზომელი სიხარული აი-
ბეჭდოდათ. პირველად ხედებოდნენ ისინი
პირისპირ პოეტს, რომლის ლექსებსაც სკო-
ლაში სწავლობდნენ. ერთს მთავანს წიგნი
გადაეშალა, ჯერ სურათს აცქერდებოდა,
მერე ქუჩიშვილს შეხედავდა და ამხანაგებს
რაღაცას ვადაელაპარაკებოდა ხოლმე, — ალ-
ბად ეუბნებოდა — რა ძალიან გავსო.

როცა პოეტი ლექსს კითხულობდა, ბავშვე-
ბი მას უჩუმრად იმეორებდნენ, ტუნებს აცმა-
ცუნებდნენ და ერთმანეთს ნელ მუჯალებუნს
ჰკრავდნენ ქაყოფილების ნიშნად, რომ ლექ-
სი ზეპირად იცოდნენ.

საღამო თავდებოდა. ის იყო თავდადობა-
რეს უკანასკნელი სიტყვები უნდა წაიკითხა
ქვა, რომ ეს ბავშვები მოულოდნელად
გილს მოსწყდნენ და სცენაზე ავიდნენ. მათ
იქვე საკუთარი თაოსნობით გადაწყვიტათ —
პოეტისათვის პიონერის ყელსახვევი ეჩუქე-
ბინათ და გურჯაანის სამშულო სკოლის სა-
პატიო პიონერად გამოეცხადებინათ. ბავ-
შვებში მხოლოდ ორიოდეს ჰქონდა პიონერის
ყელსახვევი, რაც იმას მოწმობდა, რომ ისინი
წინასწარ არ იყვნენ მომზადებული, სიტყვაც
არ წარმოუთქვამთ. ერთი ბავშვი გამოეყო
ამხანაგებს, ყელსახვევი მოიხსნა და ქუჩი-
შვილს კისერზე შემოახვიო. ბავშვი თროდა.
მან რაღაცა წაიღუღუნა ისე ჩუმად, რომ
თითქმის არავის არაფერი გაუგია. პოეტმა
ხელში აიტაცა, ვადაკაცნა, მერე დასვა ძირს
და ექსპრომპტი ლექსით მიმართა. დამახსოვ-
ნდა ლექსის შინაარსი. პოეტი უჩიოდა თავის
ტანჯვა-წამებით გატარებულ ბავშვობას,
ძველ უკუღმართ დროს და აღტაცებას გამოს-
თქვამდა ჩვენი ბავშვების ბედნიერი აწმყოთი,
დიდებული მომავლით. ლექსი ბეჯითი სწავ-
ლისაკენ მოწოდებით მთავრდებოდა.

ბავშვები არ დაიბნენ. ისინი, ღრმა სიყვარ-
რულისა და მადლობის ნიშნად, წარღ შეშო-
ველენ პოეტს და სიმღერა წამოიწყეს.

მეორე დღის, სკოლაში გაცვეთილების და-
მთავრების შემდეგ, პიონერთა ორგანიზაცია
შეიკრება. საერთო კრებამ ბავშვებს მადლო-
ბა გამოუცხადა სასახლო თაოსნობისათვის
და პოეტის სურათი, სათანადო წარწერით,
სწავლავი დაწინაურებული რაზმის ოთახში
დააკვიდა.

პიონერთა შორის სოციალისტური შეჯიბ-
რება ვაჩადა. იბრძოდნენ საყვარელი პოე-
ტის სურათის მოსაპოვებლად. სწავლობდნენ
ბეჯითად, ამრავლებდნენ ხუთებს და გიორგი
ქუჩიშვილის სურათიც ყოველ მეოთხედში
რაზმიდან რაზმში გადადიოდა.



გ ა ს ა რ თ ო ბ ი



ა მ ო ც ა ნ ა

ხატავლი ორი ჩხირით
ბრინჯსა სჭამდა ჯამიდან,
(ჩვეულებად ასე მოსდევს
ათა-პაბას უამიდან).
მას ამ ბრინჯის მარცვლებიდან.
ეჭვსი ცალი ასში,
უცვივოდა: ერთი დაბლა,
ხუთი ისევ ჯამში.
და, როდესაც ხატავლმა
აილაგა ტაბლა,

ხუთი ბრინჯი ჯამში ეგლო,
ოცდერთი — დაბლა.
გამოიცან, ანგარიშში
თუ არა ხარ წელი:
რამდენ მარცვალ ბრინჯს შესჭამდა
წვენი ხატაველი?

დ. ქაძაგიძე

პასუხი კურ. „პიონერის“ № 10-ში დაბე-
ჭილ ამოცანაზე:
წინაგს ჰქონდა თავი 30 სანტიმეტრი სიგ-
რძისა, ტანი — 20 სმ., კელი — 60 სმ.

შინაარსი

ა. შენგელია — საოქტომბრო სიმღერა (ლექსი)	83	ა. მარკოვი — როგორ იქნა გამოგონებული	23
ბ. აღნაშვილი — თევზის თავები (მოთხრობა)	1	თვითმფრინავი (ხარკვევი)	19
გ. სანუბლიძე — ოქტომბრის დროშა	5	ლ. კვიციანიძე — ბავშვების საყვარელი	22
დ. ნაკაშიძე — ანასეული (ლევენდა და სინამდვი- ლე. დისასრული)	6	პოეტი (წერილი)	22
ე. შატერვაშვილი — წერილი დამრიგებელს (ლექსი)	10	შანგო (მოთხრობა. შემოკლებული თარგმანი რუსულიდან ა. ლომიძისა)	23
ვ. ლოლაძე — უფროსი პიონერხელმძღვანელები (წერილი)	11	ა. რეულიშვილი — ვანი სარაჯიშვილი (წერილი)	23
ზ. მარშაკი — რა არის ერთი წელი (ლექსი. თარგ- მანი კ. კობახიძისა)	13	კ. გოგიაშვილი — ცურეტა (პიესა. გაგრძელება)	25
წინეთი სახალხო რესპუბლიკა.	15	ე. ქარელიშვილი — დამსახურებული სიყვარული (მოგონება)	30
მ. ვაღბოლცი — ქართული მებრძოლი რაზმები (წერილი)	16	გასართობი.	32
შქონდა ნიჭი, არა? — (მოთხრობა, თავისუ- ფალი თარგმანი ფრანგულიდან ნ. ჯიბლაძისა)	17	სურათი — „კრეისერი „აერორა“ — ნორჩ ნახიშო- ველი სამსახურში“ — გარეკანის შე-4 გვ.	
თ. ბეწუელი — ბელურა (ლექსი)	18	გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — შეს- რულებულია მხატვარ ა. გოგოლაშვილის მიერ.	

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ქაძაგიძე

პასუხისმგებელი მდივანი ვ. თორღულა

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გგრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი,
გ. თაფიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

№ 04482 ტირაჟი 7000 გამოცემლობის შეფ. № 118 სტამბის შეფ. № 1407
ლ. ა. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.
ფურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



ნორჩი ვიზიკოსის კუთხა

დასველება

მამიდა ნინომ ბუღიდან ქულა წიწილები და ქუჭულები ამოსხა. კრუხი ცხარედ კუტკუტებდა, ეზოში ჩაფლულ გობთან მივიდა და წყლის სმა დაიწყო. წიწილები წყალს მოერიდნენ, ქუჭულები კი, პირიქით, წყალში ჩაცვივდნენ და ცურვა დაიწყეს. გოგი მათი ცქერით ერთობოდა. ამ დროს მეზობლის ბიჭი ნუგზარი მოვიდა.

— მამიდა, ამ კრუხმა გამოჩეკა ეს იხვის ქუჭულებიც?— იკითხა ნუგზარმა.

— უცებ გოგიმ გობს დოჭით წყალი დაუმატა. წყლის შეფეხვამა წიწილები დასველეს.

— შეხედო, ნუგზარ, — უთხრა გოგიმ, — წყლის შეფეხვით წიწილები დასველდნენ, იხვის ქუჭულები კი წყალში ცურავენ და არ სველდებიან.

— ძეგო, რატომ? — იკითხა ნუგზარმა.

— როგორ გაკვირვებით იკითხე, დასველების განმარტება არ გახსოვს ფიზიკიდან? ნუგზარმა მორცხვად თავი დაჰხარა.

— ჰოო, ახლა გამახსენდა, სწორედ ეს კითხვა შეგხვდა გამოცდაზე და სამიანიც მიიღე ფიზიკაში. — დიმილით უთხრა გოგიმ.

— ამიხსენი, გამოამადგება. — უთხრა დარცხენილმა ნუგზარმა.

— გახა ასეთი ძნელია დასველების ახსნა? — იკითხა ნინომ.

— არა, დედი, ძნელი არაფერია, რასაც ისწავლი, ხოლო რაც არ იცი მარტივიც კი ძნელი გვეჩვენება. — ახლა გოგი ნუგზარს მიუბრუნდა: — ხომ იცი, ნუგზარ, ყოველი ნივთიერება რომ მოლეკულებისაგან შედგება. ეს მოლეკულები ერთმანეთთანაა შექიდილი. თუ მინის ღეროს ჩაფუშვებით წყალში, ამოდების შემდეგ შევნიშნავთ მასზე წვეთებს, ე. ი. მინა დასველდა. ეს იმი-

ტომ ხდება, რომ სითხის მოლეკულებს შორის შექიდილების ძალა ნაკლებია, ვიდრე მინისა და წყლის მოლეკულათა შორის. ახლა ოთახში შევიდეთ და იქ განვავარძოთ საუბარი.

ნუგზარი გოგის ოთახში შეჰყვია. გოგიმ მაგიდიდან კალმისტარი აიღო, ძველი კალამი ჩუმად ახალი კალმით შესცვალა.

— აი, კალამი, დასწერე ნუგზარ რამე! — უთხრა გოგიმ და ნუგზარს კალმისტარი მიაწოდა. ნუგზარმა ჩამოართვა, კალამი მელანში ჩააწო და იქვე გამოიღო ქაღალდზე წერა დაიწყო.

— ეს კალამი არ ვარგა, არაფერს წერს! — წამოიძახა უცებ გაკვირვებულმა ნუგზარმა.

კალამი მართლაც არაფერს წერდა. გოგის გაეცინა.

— არა, ნუგზარ, კალმისწვერი ცხიმით დავფარე და ამიტომ მელნით არ დასველდა. ახლა მელნის მოლეკულების შექიდილების ძალა უფრო მეტია, ვიდრე კალმისწვერისა და მელნის მოლეკულათა შორის. სწორედ ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა იხვი, ბატი და მათი ქუჭულები წყალში არ სველდებიან; მათი ბუმბული ცხიმითაა დაფარული და შექიდილების ძალა ბუმბულისა და წყლის მოლეკულებს შორის უფრო ნაკლებია, ვიდრე თვით წყლის მოლეკულების შექიდილების ძალა.

— მაშ, ეს კალმისწვერი აღარვარგა! — თქვა ნუგზარმა.

გოგიმ გასწმინდა კალმისწვერი. ახლანაკვეთი ჩვეულებრივად დასწერა.

დ. გედევიანიშვილი



41/1

Воспуск

01.03.53
2020070333

Водо в 206.

